A provision is recognised if, as a result of a past event, the Company has a present legal or constructive obligation that can be estimated reliably, and it is probable that an outflow of economic benefits will be required to settle the obligation. Provisions are determined by discounting the expected future cash flows at a pre-tax rate that reflects current market assessments of the time value of money and the risks specific to the liability. The unwinding of the discount is recognised as finance cost.

(l) Leases

At inception of a contract, the Company assesses whether a contract is, or contains, a lease. A contract is, or contains, a lease if the contract conveys the right to control the use of an identified asset for a period of time in exchange for consideration. To assess whether a contract conveys the right to control the use of an identified asset, the Company uses the definition of a lease in IFRS 16.

(i) As a lessee

The Company did not have significant lease agreements where it acts as a lessee as at 31 December 2020 and 2019. The Company has elected not to recognise right-of-use assets and lease liabilities for short-term leases. The Company recognises the lease payments associated with these leases as an expense on a straight-line basis over the lease term.

23. New standards and interpretations not yet adopted

A number of new standards are effective for annual periods beginning after 1 January 2020 and earlier application is permitted; however, the Company has not early adopted the new or amended standards in preparing these financial statements.

The following amended standards and interpretations are not expected to have a significant impact on the Company's financial statements.

- *Property, Plant and Equipment: Proceeds before Intended Use (Amendments to IAS 16).*
- *Reference to Conceptual Framework (Amendments to IFRS 3).*
- *Classification of Liabilities as Current or Non-current (Amendments to IAS 1).*
- *IFRS 17 Insurance Contracts and amendments to IFRS 17 Insurance Contracts.*
- *Onerous Contracts – Cost of Fulfilling a Contract (Amendments to IAS 37).*
- *Interest Rate Benchmark Reform – Phase 2 (Amendments to IFRS 9, IAS 39, IFRS 7, IFRS 4 and IFRS 16).*
- *COVID-19-Related Rent Concessions (Amendment to IFRS 16).*

სს "შატო მუხრანი"

2020 წლის
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	9
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10



შპს „KPMG Georgia“

ჯი ემ თი პლაზა

მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4

თბილისი, საქართველო 0105

ტელეფონი: +995 322 93 5713

ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სს "შატო მუხრანის" აქციონერს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ სს „შატო მუხრანის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მითითებული თარიღისთვის დასრულებული წლისთვის მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას, და მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ხსენებული სტანდარტების საფუძველზე ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის თავში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით), ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, ჩვენ ვართ „კომპანიისგან“ დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში „IESBA“ კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშზე. ჩვენი დასკვნა, ფინანსური ანგარიშგების შესახებ, არ მოიცავს მმართველობით ანგარიშს.

ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენ მიერ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული მმართველობითი ანგარიშის გაცნობას და განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ მოიცავს არსებით უზუსტობებს.

ჩვენ არ გავცემთ არანაირი სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობითი ანგარიშის შესახებ. მმართველობითი ანგარიშის გაცნობის შემდეგ და ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად, ჩვენ გამოვთქვამთ აზრს იმასთან დაკავშირებით, რომ მმართველობითი ანგარიში:

- არის შესაბამისობაში ფინანსურ ანგარიშგებასთან და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

ხელმძღვანელობისა და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე და ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნაზე, რომელიც, მათი თვალსაზრისით, უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

მმართველობაზე უფლებამოსილი პირები პასუხს აგებენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მივიღოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს აზრს. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად მოიაზრებოდნენ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი, რომ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გონივრულ ფარგლებში გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მართებულია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას, ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვეყნე დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ



დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის უნარზე განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

კარენ საფარიანი

შპს KPMG Georgia
თბილისი, საქართველო
04 ივნისი, 2021 წელი

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	40,377	36,978
არამატერიალური აქტივები		4	4
ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის	8 (გ)	9,038	5,664
გრძელვადიანი აქტივები		49,419	42,646
მარაგები	9	10,930	8,669
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	2,511	3,037
საგადასახადო აქტივები		1,860	715
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	861	1,858
შეზღუდული ფულადი სახსრები	11	305	-
მიმდინარე აქტივები		16,467	14,279
სულ აქტივები		65,886	56,925
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	12(ა)	16,111	16,111
სააქციო პრემია		33,877	33,877
დამატებით გადახდილი კაპიტალი	12 (გ)	11,104	1,098
გადაფასების რეზერვი		15,933	6,100
დაგროვილი ზარალი		(63,688)	(35,664)
სულ კაპიტალი		13,337	21,522
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	14	46,584	19,894
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		46,584	19,894
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	14	2,792	12,446
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	3,173	3,063
მიმდინარე ვალდებულებები		5,965	15,509
სულ ვალდებულებები		52,549	35,403
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		65,886	56,925

სს "შატო მუხრანი"
2020 წლის მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	5	5,895	9,778
გაყიდვების თვითღირებულება		(3,297)	(5,162)
მთლიანი მოგება		2,598	4,616
სხვა შემოსავალი		108	58
ადმინისტრაციული ხარჯები	6(ა)	(3,237)	(2,947)
გაყიდვების და დისტრიბუციის ხარჯები	6(ბ)	(678)	(765)
მარკეტინგის ხარჯები	6(გ)	(497)	(660)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება		(22,732)	-
სხვა ხარჯები		(398)	(18)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		(24,836)	284
ფინანსური შემოსავალი		-	7
ფინანსური ხარჯები		(3,188)	(267)
წმინდა ფინანსური ხარჯები	7	(3,188)	(260)
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგრამდე		(28,024)	24
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის (ზარალი)/მოგება		(28,024)	24
სხვა სრული შემოსავალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასება		9,833	-
სულ სრული (ზარალი)/შემოსავალი წლის განმავლობაში		(18,191)	24

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 04 ივნისს და მისი სახელით დოკუმენტზე ხელს აწერენ:

პატრიკ ჰონეფი
აღმასრულებელი დირექტორი

გრიგოლ წიქარიშვილი
ფინანსური დირექტორი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-45 გვერდებზე.

'000 ლარი	გადახდილი სააქციო კაპიტალი	სააქციო პრემია	დამატებით გადახდილი კაპიტალი	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	დაგროვილი ზარალი	სულ
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	16,111	33,877	965	6,100	(35,688)	21,365
სულ სრული შემოსავალი						
წლის მოგება	-	-	-	-	24	24
სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	-	-	-	24	24
ოპერაციები კომპანიის მესაკუთრეებთან						
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული დაბალპროცენტიანი სესხის დისკონტირება (შენიშვნა 14(გ))	-	-	133	-	-	133
სულ ოპერაციები კომპანიის მესაკუთრეებთან	-	-	133	-	-	133
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	16,111	33,877	1,098	6,100	(35,664)	21,522
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	16,111	33,877	1,098	6,100	(35,664)	21,522
სულ სრული შემოსავალი						
წლის ზარალი	-	-	-	-	(28,024)	(28,024)
სხვა სრული შემოსავალი						
ძირითადი საშუალებების გადაფასება	-	-	-	9,833	-	9,833
სულ სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	9,833	-	9,833
ოპერაციები კომპანიის მესაკუთრეებთან						
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული დაბალპროცენტიანი სესხის დისკონტირების აღიარება (შენიშვნა 14(გ))	-	-	10,580			10,580
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული დაბალპროცენტიანი სესხის დისკონტირების აღიარების შეწყვეტა (შენიშვნა 14(გ))	-	-	(574)	-	-	(574)
სულ ოპერაციები კომპანიის მესაკუთრეებთან	-	-	10,006	-	-	10,006
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	16,111	33,877	11,104	15,933	(63,688)	13,337

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-45 გვერდებზე.

სს "შატო მუხრანი"
2020 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

'000 ლარი	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		5,776	9,654
გადახდები მომწოდებლების მიმართ		(4,544)	(6,333)
გადახდები თანამშრომლების მიმართ		(2,576)	(2,406)
სხვა გადახდები		571	(61)
გადასახადების გადახდა, მოგების გადასახადის გარდა		(2,183)	(542)
წმინდა ფულადი ნაკადები (გამოყენებული საოპერაციო საქმიანობაში)/საოპერაციო საქმიანობებიდან		(2,956)	312
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(17,451)	(11,635)
შეზღუდული ფულადი სახსრების ზრდა		(305)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(17,756)	(11,635)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
შემოსულობები დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხებიდან		24,718	13,310
გადახდილი პროცენტი		(4,925)	(210)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		19,793	13,100
წმინდა (კლება)/მატება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		(919)	1,777
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		1,858	195
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(78)	(114)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	11	861	1,858

შენიშვნა	გვერდი	შენიშვნა	გვერდი
1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო	11	13. კაპიტალის მართვა	22
2. აღრიცხვის საფუძველი	12	14. სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	22
3. სამუშაო და წარდგენის ვალუტა	12	15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24
4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება	12	16. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა	24
5. შემოსავალი	14	17. ვალდებულებები	30
6. ხარჯები	15	18. პირობითი ვალდებულებები	30
7. წმინდა ფინანსური ხარჯები	16	19. დაკავშირებული მხარეები	31
8. ძირითადი საშუალებები	17	20. შემდგომი მოვლენები	32
9. მარაგები	19	21. შეფასების საფუძველი	32
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	20	22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	32
11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	20	23. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული	45
12. კაპიტალი და რეზერვები	21		

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(ა) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური და ფინანსური ბაზრის ფაქტორები, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებადი ბაზრისათვის. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის. COVID-19 კორონავირუსის პანდემიამ კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობა არსებულ ბიზნეს გარემოში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. ბიზნეს გარემო მომავალში შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(ბ) ორგანიზაცია და ოპერაციები

„შატო მუხრანი“ ქართული სააქციო საზოგადოებაა, როგორც ეს განსაზღვრულია „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ მიერ. სს „შატო მუხრანი“ დარეგისტრირდა 2002 წლის 12 ივლისს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე. 2010 წლის 17 თებერვალს კომპანია რეორგანიზებულ იქნა როგორც სააქციო საზოგადოება. კომპანიის რეგისტრაციის ნომერია: 205000381.

კომპანიის რეგისტრირებული ოფისია: მუხრანი, მცხეთა, 3309, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ვაზის გაშენება, ღვინის წარმოება და გაყიდვა, ასევე ტურიზმი და სასტუმრო ბიზნესი. კომპანიის საქმიანობა ეფუძნება ღვინის დამზადების ისტორიულ ტრადიციას მუხრანის მხარეში. 2007 წელს დიდი ინვესტიცია განხორციელდა კომპანიის ახალ ღვინის ქარხანაში. დღეისათვის ქარხანა აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიით და აკმაყოფილებს ISO 9001:2005 (საკვების უსაფრთხოება) და ISO 9001:2008 (ხარისხის მართვის სტანდარტები) სტანდარტებს. 2007 წლის შემდეგ კომპანია ღვინოს საკუთარ ვენახში მოყვანილი ყურძნისგან აწარმოებს.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მფლობელია სს „მარუსია“ (საქართველო) (100%) (31 დეკემბერი 2019: კომპანიის მფლობელი იყო სს "მარუსია" (საქართველო) (80%), მამუკა ხაზარაძე (11,97%) და ბადრი ჯაფარიძე (8,03%)). 2020 წლის 28 მაისს და 2020 წლის 19 ივნისს, აქციების შეძენის შესახებ ხელშეკრულებები გაფორმდა სს "მარუსია საქართველოსა" და მამუკა ხაზარაძეს და ბადრი ჯაფარიძეს შორის, შესაბამისად. ამ ხელშეკრულებების მიხედვით, სს "მარუსია საქართველო" იძენს უმცირესობის აქციებს შატო მუხრანში და ხდება მისი 100%-იანი წილის მფლობელი.

კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანიის (სს „მარუსია“ (საქართველო), მშობელი კომპანია) მფლობელია „MBev Holding AG“ (2019: "Marussia Beverages B.V."). კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანიაა „Sastre Holding SA“. კომპანიის დაფინანსების და საკრედიტო დაქვემდებარების უმეტესი ნაწილი „Sastre Holding SA“-ს მმართველობის ქვეშ მყოფი ჯგუფის კომპანიებისგან მოდის. შედეგად, კომპანია ეკონომიკურად არის დამოკიდებული „Sastre Holding SA“-ს მმართველობის ქვეშ მყოფ ჯგუფის კომპანიებზე. "Sastre Holding SA"-ს ძირითადი საქმიანობის და რეგისტრაციის ქვეყანაა შვაიცარია. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია 19-ე შენიშვნაში.

„Paulsen Familiae Foundation“, ჯერსის კანონმდებლობის ქვეშ რეგისტრირებული იურიდიული პირი ახორციელებს კომპანიის საბოლოო კონტროლს.

2. აღრიცხვის საფუძველი

(ა) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“-ები) სრულ შესაბამისობაში.

(ბ) უწყვეტი ფუნქციონირების შეფასება

მიუხედავად არსებული COVID 19-ის სიტუაციისა, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის გამოყენებით, რომელიც კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია შესაბამისი, შემდეგი მიზეზების გამო.

ხელმძღვანელობამ მოამზადა ფულადი ნაკადების პროგნოზი წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღის შემდეგ 12-თვიანი პერიოდისთვის, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ გონივრულად შესაძლებელი მოვლენათა უარყოფითი განვითარებების გათვალისწინებით, კომპანიას ექნება საკმარისი ფულადი სახსრები, პირდაპირი მშობელი კომპანიისგან დაფინანსების გზით, მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად მათი დაფარვის ვადის დადგომისას, აღნიშნული პერიოდისთვის.

აღნიშნული პროგნოზები დამოკიდებულია ამ პერიოდის განმავლობაში დამატებითი ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე. საბოლოო მაკონტროლებელმა მხარემ დააფიქსირა მისი განზრახვა, რომ შემდგომშიც ხელმისაწვდომი გახადოს ფინანსური რესურსი კომპანიის საჭიროების შესაბამისად, პროგნოზით გათვალისწინებული პერიოდის განმავლობაში. ისევე როგორც ნებისმიერი სხვა კომპანია, რომელიც იმედებს საბოლოო მაკონტროლებელი მხარის ფინანსურ მხარდაჭერაზე ამყარებს, კომპანიის ხელმძღვანელობა აცნობიერებს, რომ ვერ იქნება დარწმუნებული იმაში, რომ აღნიშნული მხარდაჭერა გაგრძელდება, მიუხედავად იმისა რომ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის არ ყოფილა მიზეზი რომ მათ სხვაგვარად ეფიქრათ.

ამ და სხვა დაშვებების საფუძველზე, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას ექნება საკმარისი ფულადი სახსრები მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად მათი დაფარვის ვადის დადგომისას წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დადასტურების თარიღიდან სულ მცირე 12-თვიანი პერიოდისთვის და შესაბამისად წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის მიხედვით. ხელმძღვანელობას ასევე მიაჩნია, რომ არ არსებობს არსებითი გაურკვევლობა უწყვეტი ფუნქციონირების დაშვებასთან დაკავშირებით.

3. სამუშაო და წარდგენის ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს-თან შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებებისა და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკასთან მიმართებაში გამოყენებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომელთაც აქვთ არსებითი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, აღწერილია შენიშვნაში 8(ა) - ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება, ნაყოფის მომცემი კულტურების და დაუმთავრებელი მშენებლობების გარდა.

ინფორმაცია დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული გაურკვევლობების შესახებ, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილებების მნიშვნელოვანი რისკის წინაშე დგანან, განხილულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 1(ბ) - "Sastre Holding SA"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ ჯგუფზე ეკონომიკური დამოკიდებულება;
- შენიშვნა 2(ბ) - უწყვეტი ფუნქციონირების შეფასება, კომპანიის უნარის შეფასება დაფაროს დაკავშირებული მხარეებისგან აღებული სესხები;
- შენიშვნა 8 - ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება, ნაყოფის მომცემი კულტურების და დაუმთავრებელი მშენებლობების გარდა; და
- შენიშვნა 9 - ყურძნის მოსავლის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა გაყიდვების თვითღირებულების გამოკლებით.

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

კომპანიის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტება მოითხოვს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებით, კომპანიამ განსაზღვრა კონტროლის სტრუქტურა. ფინანსურ დირექტორს აქვს საერთო პასუხისმგებლობა სამართლიანი ღირებულების ყველა მნიშვნელოვანი შეფასების ზედამხედველობაზე, მათ შორის მე-3 დონის სამართლიანი ღირებულებისა, და ის პირდაპირ წარუდგენს ანგარიშს აქციონერებს და ჯგუფის ფინანსურ დირექტორს.

ფინანსური დირექტორი რეგულარულად ახდენს მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი მონაცემების და საშემფასებლო ცვლილებების მიმოხილვას. თუ სამართლიანი ღირებულების განსაზღვრაში გამოიყენება მესამე მხარის ინფორმაცია, როგორც არის ბაზრის შესადარისი ფასები, ფინანსური დირექტორი აფასებს მესამე მხარისგან მიღებულ მტკიცებულებას იმ დასკვნის მხარდასაჭერად, რომ ამგვარი შეფასებები შეესაბამება ფასს-ის მოთხოვნებს, მათ შორის სამართლიანი ღირებულების იერარქიაში იმ დონეს, რომელშიც მოხდება ამგვარი შეფასების კლასიფიცირება.

მნიშვნელოვანი საშემფასებლო საკითხების შესახებ ანგარიში აქციონერებს და ჯგუფის ფინანსურ დირექტორს წარედგინება.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას, კომპანია შეძლებისდაგვარად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს. სამართლიანი ღირებულებები დაჯგუფებულია სხვადასხვა დონეების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც გამოყენებულია შეფასების მეთოდოლოგიაში შემდეგი სახით:

- დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის;
- დონე 2: შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც შესულია პირველ დონეში და რომლებიც ხელმისაწვდომია აქტივისა და ვალდებულებისთვის, როგორც პირდაპირ (მაგ. ფასები), ასევე ირიბად (მაგ. ფასებისგან წარმოებული);

- დონე 3: მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეყრდნობა დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემების დაჯგუფება შესაძლოა სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

კომპანია ახდენს სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადასვლის აღიარებას იმ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რომლის განმავლობაშიც ადგილი ჰქონდა ცვლილებას.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 8 - ძირითადი საშუალებები;
- შენიშვნა 9 - ყურძნის მოსავლის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა გაყიდვების თვითღირებულების გამოკლებით;
- შენიშვნა 14(გ) - სესხებისა და კრედიტების სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას; და
- შენიშვნა 16 (ა) - ფინანსური ინსტრუმენტები.

5. შემოსავალი

(ა) შემოსავლის წყაროები

'000 ლარი	2020	2019
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	5,895	9,778

2020 წლის განმავლობაში, კომპანიაში დაფიქსირდა გაყიდვების 40%-იანი შემცირება პანდემიით გამოწვეული სიტუაციის გამო. ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესება მოსალოდნელია 2021 წლის მეორე ნახევარში. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება მიმდინარე სიტუაციას და მოახდენს შესაბამის რეაგირებას იმ მოვლენების გავლენის შესამსუბუქებლად, რომლებიც შეიძლება მოხდეს მომავალში.

(ბ) მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლების ჩაშლა

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში, შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან დაშლილია მნიშვნელოვანი გეოგრაფიული ბაზრების, ძირითადი შემოსავლის წყაროებისა და შემოსავლის აღიარების ვადების მიხედვით:

31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

'000 ლარი	2020	2019
ძირითადი გეოგრაფიული ბაზრები		
რუსეთი	2,858	2,182
საქართველო	1,283	5,397
ჩინეთი	977	1,098
უკრაინა	335	440
სხვა	442	661
	5,895	9,778
შემოსავლის ძირითადი წყაროები		
ღვინის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	5,160	6,554
ალკოჰოლური სასმელების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	394	1,012
ღვინის ტურებიდან და ღონისძიებებიდან მიღებული შემოსავალი	261	2,159
სხვა შემოსავალი	80	53
	5,895	9,778
შემოსავლის აღიარების ვადები		
პროდუქტები და მომსახურება გადაცემული დროის გარკვეულ მომენტში	5,634	7,619
პროდუქტები და მომსახურება გადაცემული გარკვეული დროის მანძილზე	261	2,159
ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	5,895	9,778

(გ) სახელშეკრულებო ნაშთები

მოცემული ცხრილი ასახავს ინფორმაციას მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილ მოთხოვნებზე.

'000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
"სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში" შეტანილი სავაჭრო მოთხოვნები	10	2,210	2,880

(დ) ნაკისრი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების პოლიტიკები

შემოსავლის შეფასება ხდება კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. კომპანია აღიარებს შემოსავალს როდესაც ის მომხმარებელს გადასცემს კონტროლს საქონელსა ან მომსახურებაზე, იხილეთ შენიშვნა 22(ა).

6. ხარჯები

(ა) ადმინისტრაციული ხარჯები

'000 ლარი	2020	2019
ხელფასები	1,084	964
ცვეთა	382	290
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	376	321
ხელმძღვანელობის მომსახურების საფასური	374	387
იურიდიული, ფინანსური და სხვა საკონსულტაციო ხარჯები	207	173
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	151	167
საოფისე ინვენტარი და ტექნიკური მხარდაჭერა	84	76
წარმომადგენლობითი ხარჯები	57	43
კომუნიკაციის ხარჯები	19	22
მგზავრობის და საცხოვრებლის ხარჯი	9	146
სხვა	494	358
	3,237	2,947

(ბ) გაყიდვების და დისტრიბუციის ხარჯები

'000 ლარი	2020	2019
ხელმძღვანელობის მომსახურების საფასური	253	160
ლისტინგის საფასური	218	386
ფრახტის ხარჯი	47	25
იჯარა	37	104
დეგუსტაცია	21	12
გაუფასურების ზარალი სავაჭრო მოთხოვნებზე	18	-
სხვა	84	78
	678	765

(გ) მარკეტინგის ხარჯები

'000 ლარი	2020	2019
რეკლამა და პრომოუშენი	426	537
ხელფასები	67	81
სხვა	4	42
	497	660

(დ) პერსონალის ხარჯები

'000 ლარი	2020	2019
პერსონალის ხარჯები	3,227	2,750

პერსონალის ხარჯის მთლიანი ოდენობა 2020 წლის განმავლობაში გადანაწილდა შემდეგი სახით: 1,084 ათასი ლარი ადმინისტრაციულ ხარჯებზე (2019 წელს: 964 ათასი ლარი), 67 ათასი ლარი მარკეტინგის ხარჯებზე (2019 წელს: 81 ათასი ლარი) და 2,076 ათასი ლარი (2019 წელს: 1,705 ათასი ლარი) დაირიცხა გაყიდვების თვითღირებულებაზე, რომლის ნაწილიც შესულია მარაგების საბალანსო ღირებულებაში. გაყიდვების თვითღირებულებაზე დარიცხული თანხა მოიცავს პერსონალის ხარჯს 584 ათასი ლარის (2019 წელს: 640 ათასი ლარი) ოდენობით, რომელიც ტურიზმის სფეროს უკავშირდება.

7. წმინდა ფინანსური ხარჯები

'000 ლარი	2020	2019
აღიარებული მოგებაში ან ზარალში		
წმინდა სავალუტო ამონაგები	-	7
ფინანსური შემოსავალი	-	7
წმინდა სავალუტო ზარალი	(2,953)	-
საპროცენტო ხარჯები დაკავშირებული მხარეებისგან მიღებულ სესხებზე	(235)	(267)
ფინანსური ხარჯები	(3,188)	(267)
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური ხარჯები	(3,188)	(260)

კაპიტალიზებული საკრედიტო ხარჯები:

'000 ლარი	2020	2019
წლის განმავლობაში კაპიტალიზირებული საკრედიტო ხარჯები	3,554	1,562

კაპიტალიზირებული საკრედიტო ხარჯი 2020 წელს უკავშირდება არაუზრუნველყოფილ სესხებს დაკავშირებული მხარეებისგან (იხილეთ შენიშვნა 8 და შენიშვნა 14), რომლებიც კაპიტალიზდა 9.4% -იანი საშუალო განაკვეთით (2019: 8.7%).

8. ძირითადი საშუალებები

<i>თვითღირებულება ან სავარაუდო ღირებულება/ გადაფასებული ღირებულება</i>	მიწა	შენობა- ნაგებობები	დაუმთავრებელი შენობები	ძირითადი საშუალებები	ავეჯი და საოფისე ინვენტარი	სხვა აქტივები	სატრანსპორტო საშუალებები	ნაყოფის მომცემი კულტურები	სულ
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	6,579	3,640	12,452	3,848	110	1,808	125	944	29,506
შესყიდვები	-	67	7,553	845	26	235	52	60	8,838
გადაცემები	-	104	(173)	-	-	69	-	-	-
კაპიტალიზირებული საკრედიტო ხარჯები	-	-	1,562	-	-	-	-	-	1,562
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	6,579	3,811	21,394	4,693	136	2,112	177	1,004	39,906
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	6,579	3,811	21,394	4,693	136	2,112	177	1,004	39,906
შესყიდვები	357	1	11,613	748	18	1,197	-	-	13,933
კაპიტალიზირებული საკრედიტო ხარჯები	-	-	3,554	-	-	-	-	-	3,554
გასვლები და ჩამოწერები	-	-	-	(13)	(23)	-	(14)	-	(50)
დაგროვილი ცვეთის გაუქმება	(468)	(665)	(405)	(650)	(98)	(1,137)	(287)	(357)	(4,067)
გადაფასება	5,858	46	-	2,281	-	1,524	124	-	9,833
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	12,326	3,193	36,156	7,059	33	3,696	-	647	63,109
<i>ცვეთა და გაუფასურება</i>									
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	468	176	405	(184)	69	738	4	302	1,978
წლის ცვეთა	-	241	-	378	-	177	137	17	950
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	468	417	405	194	69	915	141	319	2,928
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	468	417	405	194	69	915	141	319	2,928
წლის ცვეთა	-	248	-	456	29	222	146	38	1,139
დაგროვილი ცვეთის გაუქმება	(468)	(665)	(405)	(650)	(98)	(1,137)	(287)	(357)	(4,067)
გაუფასურების ზარალი	424	1,672	18,303	449	14	1,510	-	360	22,732
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	424	1,672	18,303	449	14	1,510	-	360	22,732
<i>საბალანსო ღირებულებები</i>									
2019 წლის 1 იანვარს	6,111	3,464	12,047	4,032	41	1,070	121	642	27,528
2019 წლის 31 დეკემბერს	6,111	3,394	20,989	4,499	67	1,197	36	685	36,978
2020 წლის 31 დეკემბერს	11,902	1,520	17,853	6,610	19	2,186	-	287	40,377
<i>საბალანსო ღირებულებები არ ყოფილა გადაფასებული</i>									
2019 წლის 1 იანვარს	1,325	3,573	12,452	2,769	109	1,660	85	927	22,900
2019 წლის 31 დეკემბერს	1,325	3,503	21,394	3,236	135	1,787	-	970	32,350
2020 წლის 31 დეკემბერს	1,682	3,255	18,259	3,514	1,037	2,770	-	571	30,154

ცვეთის ხარჯი 788 ათასი ლარის ოდენობით (2019: 660 ათასი ლარი) დაერიცხა გაყიდვების თვითღირებულებას, რომლის ნაწილი შეტანილ იქნა მარაგების საბალანსო ღირებულებაში.

მუხრანბატონის სასახლის მშენებლობასთან დაკავშირებულმა კაპიტალიზირებულმა საკრედიტო ხარჯებმა შეადგინა 3,554 ათასი ლარი (2019: 1,562 ათასი ლარი), საშუალო კაპიტალიზაციის 9.4%-იანი განაკვეთით (2019: 8.7%).

(ა) ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება ნაყოფის მომცემი კულტურების და დაუმთავრებელი მშენებლობის გარდა

2020 წელს, ხელმძღვანელობამ დაიქირავა შპს „ბიდიო“ მისი ძირითადი საშუალებების (ნაყოფის მომცემი კულტურებისა და დაუმთავრებელი მშენებლობის გარდა) შესაფასებლად 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება, ნაყოფის მომცემი კულტურებისა და დაუმთავრებელი მშენებლობების გარდა, განისაზღვრა 22,237 ათასი ლარის ოდენობით 2020 წლის 31 დეკემბრისთვის (2019: 15,304 ათასი ლარი), რომელიც განეკუთვნა სამართლიანი ღირებულების მე-3 დონის კატეგორიას, გამოყენებულ შეფასების მეთოდში შეტანილი მონაცემების საფუძველზე (იხილეთ შენიშვნა 4).

კომპანიის ძირითადი საშუალებების ბოლო გადაფასება (დაუსრულებელი მშენებლობებისა და ნაყოფის მომცემი კულტურების გარდა) ჩატარდა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დამოუკიდებელი შემფასებლის, შპს „ბიდიოს“ მიერ.

ძირითადი საშუალებების ერთეულების შეფასებისას, შემფასებელმა გამოიყენა შეფასების შემდეგი მეთოდები:

- საბაზრო მიდგომა - არა-სპეციალიზირებული აქტივების სამართავად;
- თვითღირებულების მიდგომა (ლიკვიდაციის ღირებულება) - სპეციალიზირებული აქტივებისთვის და შეზღუდული ბაზრების მქონე აქტივებისთვის;
- ნარჩენი ღირებულება - აქტივებისთვის, რომელთა სასარგებლო მომსახურების ვადა ამოიწურა.

შემფასებელმა შეაფასა მიწის ნაკვეთები უკანასკნელ გარიგებებში გამოყენებული საბაზრო ფასების მიხედვით (შენიშვნა 8(ბ)).

ფულადი ნაკადების ტესტირება ჩატარდა ეკონომიკური დამკველების მიზნებისთვის, რის შედეგადაც, თვითღირებულების მიდგომით შეფასებული აქტივების ეკონომიკური დამკველება 100%-ს შეადგენს, მაშასადამე აღნიშნული სპეციალიზირებული აქტივები ლიკვიდაციის ღირებულების საშუალებით იქნა შეფასებული.

ფულადი ნაკადების ტესტირებისას გამოყენებულ იქნა შემდეგი მნიშვნელოვანი დაშვებები:

- ფულადი ნაკადები დაგეგმილია განვლილი გამოცდილების, ფაქტიური საოპერაციო შედეგებისა და კომპანიის ხუთწლიანი ბიზნეს გეგმის საფუძველზე.
- მთლიანი წარმოების მოცულობა დაიგეგმა დაახლოებით 346 ათასი ბოთლის ოდენობით ბიზნეს გეგმის პირველი წლის განმავლობაში. წარმოების მოსალოდნელი წლიური ზრდა 2022 წელს განისაზღვრა 18%-ით და საშუალოდ 8%-ით შემდგომ წლებში. ხელმძღვანელობა გეგმავს წარმოების მოცულობა გაზარდოს 523 ათას ბოთლამდე ბიზნეს გეგმის მეხუთე წლისთვის.
- გაყიდვების საშუალო ფასი ერთ ერთეულზე და ერთეულის წარმოების ხარჯი მოსალოდნელია რომ გაიზრდება 3%-ით 2021 წლის განმავლობაში და საშუალოდ 3%-ით, შემდგომ წლებში. სხვა ხარჯები მოსალოდნელია რომ გაიზრდება ინფლაციის შესაბამისად.
- გამოყენებულ იქნა დისკონტირების განაკვეთი 13.53%-ის ოდენობით. დისკონტირების განაკვეთი განისაზღვრა ინდუსტრიის კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე. ფულადი ნაკადები პროგნოზირებულია ლარში.
- ტერმინალური ღირებულება მიღებულ იქნა 5-წლიანი პერიოდის ბოლოს. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ტერმინალური ღირებულების განსასაზღვრად გათვალისწინებულია ტერმინალური განაკვეთი 2.2%-ის ოდენობით.

ფულადი ნაკადების ტესტირებაში გამოყენებული ზემოაღნიშნული შეფასებები არ არის ძალიან მგრძნობიარე რომელიმე ძირითადი დაშვების მიმართ, რადგან სპეციალიზირებული ძირითადი საშუალებები აღრიცხულია მათი ლიკვიდაციის ღირებულებით, ხოლო ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საოპერაციო ძირითადი საშუალებების დარჩენილი ნაწილი იქნა კორექტირებული მათ საბაზრო ღირებულებაზე, 2020 წლის 31 დეკემბრისთვის.

ფულადი ნაკადების ტესტირების და ზემოაღნიშნული შეფასების ტექნიკების გამოყენების შედეგად, მოხდა ძირითადი საშუალებების (დაუსრულებელი მშენებლობისა და ნაყოფის მომცემი კულტურების გარდა) აფასება 9,833 ათასი ლარით და 4,069 ათასი ლარის ოდენობით გაუფასურების ზარალის აღიარება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის.

(ბ) მიწა

2020 წლის 31 დეკემბრისთვის, შპს "ბიდიომ" 11,902 ათასი ლარით განსაზღვრა მიწის ნაკვეთების სამართლიანი ღირებულება (2019: 6,111 ათასი ლარი), რაც მოიცავს 5,858 ლარის ოდენობით აფასებას და 424 ათასი ლარის ოდენობით გაუფასურების ზარალს, რაც იქნა კლასიფიცირებული მე-3-ე დონის სამართლიან ღირებულებად, გამოყენებულ შეფასების მეთოდებში შეტანილი მონაცემების საფუძველზე.

(გ) დაუსრულებელი ძირითადი საშუალებები და ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის

მუხრანბატონის სასახლის შენობა (შატო) წარმოადგენს დაუსრულებელ მშენებლობას. 2020 წლის განმავლობაში, კომპანიამ განაგრძო მუხრანბატონის სასახლის მშენებლობა სტუმართმოყვარეობისა და ტურიზმის ბიზნესის სამომავლო განვითარებისთვის.

კომპანიამ დაიწყო სასახლის რეკონსტრუქცია 2010 წელს. საანგარიშგებო თარიღამდე გაწეული ხარჯები შეადგენდა 36,561 ათას ლარს (2019: 21,394 ათასი ლარი).

დაუსრულებელი ძირითადი საშუალებები აღიარდება თვითღირებულებით. ვინაიდან სასახლის გამოყენება ტურიზმის ბიზნესში იგეგმება, მსოფლიოში არსებული პანდემიით გამოწვეული მიმდინარე მდგომარეობის და ამ სექტორის ეტაპობრივი აღდგენის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობამ გაანალიზა გაუფასურების მაჩვენებლები და შედეგად, ფულადი სახსრების შემოღინება თავდაპირველად დაგეგმილზე ნაკლები აღმოჩნდა. ხელმძღვანელობამ შეადარა პროგნოზირებული ფულადი ნაკადების შედეგი სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვების თვითღირებულების ანალიზის შედეგს და მუხრანბატონის სასახლის უნიკალური და სპეციფიკური ბუნების გათვალისწინებით - საქართველოს ისტორიული მემკვიდრეობა - ხელმძღვანელობამ დაადგინა, რომ სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვების თვითღირებულება არის მუხრანბატონის სასახლის ღირებულების უმაღლესი და საუკეთესო შეფასება. ანალიზის შედეგად, 2020 წლის განმავლობაში, 18,293 ათასი ლარი (გაუფასურების ზარალი დაუსრულებელ მშენებლობაზე ჯამური 18,303 ათასი ლარიდან) იქნა აღიარებული როგორც სასახლის გაუფასურების ზარალი დაუსრულებელი ძირითადი საშუალებების ფარგლებში.

ავანსები გრძელვადიანი აქტივებისთვის წარმოადგენს 2020 წლის განმავლობაში სხვადასხვა კომპანიებისთვის ავანსად გადახდილ თანხებს, ძირითადად მუხრანბატონის სასახლის რეკონსტრუქციისთვის.

9. მარაგები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
დაუმთავრებელი წარმოება	6,257	4,515
მზა პროდუქცია	2,791	2,507
შესაფუთი მასალები	973	856
მეღვინეობის და მევენახეობის მასალები	352	228
სხვა მარაგები	557	563
	10,930	8,669

2020 წელს ნედლეული, სახარჯი მასალა და ცვლილებები მზა პროდუქციასა და დაუმთავრებელ წარმოებაში აღიარებულია გაყიდვების თვითღირებულებით 2,382 ათასი ლარის ოდენობით (2019: 3,926 ათასი ლარი).

მოწეული ყურძნის თვითღირებულება ყურძნის სახეობების მიხედვით:

'000 ლარი	2020	2019
საფერავი	517	420
რქაწითელი	247	202
შავკაპიტო	166	100
შარდონე	159	130
გორული ჩინური	136	-
თავკვერი	114	94
გორული მწვანე	109	214
ჩინებული	109	44
კაბერნე სოვინიონი	89	73
სოვინიონ ზლანე	84	69
მუსკატი	30	25
ორბელური ოჯალეში	22	5
სირა	18	15
პეტიტ ვერდოტი	18	15
ალექსანდროული	10	-
მუჯურეთული	10	-
პინო ნუარი	3	4
	1,841	1,410

ხელმძღვანელობის აზრით, მოწეული ყურძნის თვითღირებულება მის სამართლიან ღირებულებას უახლოვდება, მოსავლის აღების მომენტში გაყიდვის თვითღირებულების გამოკლებით.

მოწეული ყურძნის მთლიანი რაოდენობა 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის იყო 705 ტონა (2019 წელს: 694 ტონა).

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
სავაჭრო მოთხოვნები	2,294	2,957
მიღებული ავანსები	272	148
სხვა მოთხოვნები	29	9
გაუფასურების რეზერვი	(84)	(77)
	2,511	3,037

კომპანიის დამოკიდებულება საკრედიტო და სავალუტო რისკებზე და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი განხილულია მე-16 შენიშვნაში.

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ბანკში არსებული ნაშთები	860	1,850
ნაღდი ფული სალაროში	1	8
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში	861	1,858
შეზღუდული ფულადი სახსრები*	305	-

* 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, შეზღუდული ფულადი სახსრები 305 ათასი ლარის ოდენობით (2019:ნული) წარმოადგენს გადახდის გარანტიას, რომელიც განთავსებულია სს "საქართველოს ბანკში".

კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი განხილულია მე-16 შენიშვნაში.

12. კაპიტალი და რეზერვები

(ა) სააქციო კაპიტალი

აქციების რაოდენობა, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული

	ჩვეულებრივი აქციები	
	2020	2019
გამოშვებული 1 იანვარს	16,111,548	16,111,548
გამოშვებული 31 დეკემბერს, სრულად გადახდილი	16,111,548	16,111,548
ავტორიზებული აქციები - ნომინალური ღირებულება	1 ლარი	1 ლარი

ყველა ჩვეულებრივი აქცია გათანაბრებულია კომპანიის ნარჩენ აქტივებთან მიმართებაში.

(ბ) ჩვეულებრივი აქციები

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიას ჰქონდა დაგროვილი ზარალი და არ ჰქონდა გასანაწილებლად ხელმისაწვდომი გასანაწილებელი რეზერვები.

(გ) დამატებით გადახდილი კაპიტალი

2020 წლის განმავლობაში, კომპანიამ დაკავშირებული მხარისგან მიიღო 24,718 ათასი ლარის ოდენობით სესხები (2019: 2,200 ათასი ლარი) საბაზროზე დაბალი განაკვეთით, რაც იქნა დისკონტირებული წლიური საბაზრო 11.3%-იანი განაკვეთის გამოყენებით (2019: წლიური 10.7%). 2020 წლის განმავლობაში, 10,580 ათასი ლარის ოდენობით დისკონტირების გავლენა (2019: 133 ათასი ლარი) იქნა აღიარებული აქციონერისგან აღებულ ახალ სესხზე, როგორც შენატანი აქციონერისგან დამატებით გადახდილ კაპიტალში და 574 ათასი ლარი, რომელიც მიკუთვნებადია უმცირესობაში მყოფი აქციონერებისგან აღებულ სესხებზე, რომლებიც წინასწარ იყო გადახდილი დაფარვის თარიღამდე, იქნა აღიარებაშეწყვეტილი (2019: ნული), იხ. შენიშვნა 14(გ).

(დ) გადაფასების რეზერვი

გადაფასების ნამეტი ძირითადი საშუალებებისთვის მოიცავს ძირითადი საშუალებების კუმულაციურ დადებით გადაფასებულ ღირებულებას, მანამ სანამ აქტივების აღიარება არ შეწყდება ან არ გაუფასურდება.

13. კაპიტალის მართვა

კომპანიას არ გააჩნია კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს უზრუნველყოს კაპიტალის შესაბამისი ბაზა კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, ასევე ბაზრის მონაწილეთა ნდობის შესანარჩუნებლად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით, კომპანიის შემოსავლების და მოგების მუდმივი მონიტორინგით და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, რომლებიც ძირითადად ფინანსდება კომპანიის აქციონერების მიერ. ამ ზომების გამოყენებით, კომპანია მიზნად ისახავს მოგების სტაბილურ ზრდას.

კომპანიის სესხის კაპიტალთან თანაფარდობის კოეფიციენტი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იყო შემდეგი:

'000 ლარი	2020	2019
სულ ვალდებულებები	52,549	35,403
გამოკლებული: ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	861	1,858
წმინდა ვალი	51,688	33,545
სულ კაპიტალი	13,337	21,522
წმინდა ვალის კაპიტალთან თანაფარდობა 31 დეკემბერს	3.88	1.56

კომპანიის კაპიტალის მართვის მიდგომაში წლის განმავლობაში ცვლილებები არ განხორციელებულა.

კომპანია არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

14. სესხები დაკავშირებული მხარეებისგან

ამ შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია კომპანიის პროცენტის მატარებელი ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ. დამატებით ინფორმაცია კომპანიის საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარების შესახებ განხილულია მე-16 შენიშვნაში.

'000 ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
გრძელვადიანი ვალდებულებები		
არაუზრუნველყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	46,584	18,371
პროცენტი არაუზრუნველყოფილ სესხებზე დაკავშირებული მხარეებისგან	-	1,523
	46,584	19,894
მიმდინარე ვალდებულებები		
დაკავშირებული მხარეებისგან არაუზრუნველყოფილი სესხების მიმდინარე წილი	2,012	10,043
პროცენტი არაუზრუნველყოფილ სესხებზე დაკავშირებული მხარეებისგან	780	2,403
	2,792	12,446

(ა) სესხის ვადა და დაფარვის გრაფიკი

დაუფარავი სესხების დაფარვის ვადა და პირობები იყო შემდეგი:

'000 ლარი	ვალუტა	ნომინალური საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	31 დეკემბერი 2020		31 დეკემბერი 2019	
				ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
არაუზრუნველ -ყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	ლარი	5.75%	2025	41,663	31,306	-	-
არაუზრუნველ -ყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	ევრო	5.75%	2024	18,070	18,070	11,128	11,128
არაუზრუნველ -ყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	ლარი	9%	2020	-	-	10,841	10,842
არაუზრუნველ -ყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	ლარი	9%	2021	-	-	11,315	10,370
სულ პროცენტთან ვალდებულებები				59,733	49,376	33,284	32,340

(ბ) ვალდებულებების მოძრაობის დაფინანსების საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან შეჯერება

'000 ლარი	ფულადი		საპროცენტო ხარჯი	კაპიტალიზი რე -ბული		ფულადი ნაკადების გადინება	წმინდა სავალუტო ზარალი	2020 წლის 31 დეკემბერი
	2020 წლის 1 იანვარი	ნაკადების შემოდინება		საკრედიტო ხარჯები (იხ. შენიშვნა 8)	დამატებით გადახდილი კაპიტალი			
არაუზრუნველ -ყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	32,340	24,718	235	2,992	(9,654)	(4,925)	3,670	49,376

'000 ლარი	ფულადი		საპროცენტო ხარჯი	კაპიტალიზი რე -ბული		ფულადი ნაკადების გადინება (ძირითადი თანხა)	წმინდა სავალუტო ზარალი	2019 წლის 31 დეკემბერი
	2019 წლის 1 იანვარი	ნაკადების შემოდინება		საკრედიტო ხარჯები (იხ. შენიშვნა 8)	დამატებით გადახდილი კაპიტალი			
არაუზრუნველ -ყოფილი სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	17,527	13,310	267	1,562	(133)	(210)	17	32,340

(გ) სესხები და კრედიტების სამართლიანი ღირებულება

თავდაპირველი აღიარებისას, ხელმძღვანელობამ შეაფასა, რომ დაკავშირებული მხარეებისგან 2020 წლის განმავლობაში მიღებული 24,718 ათასი ლარის ოდენობით არაუზრუნველყოფილი სესხების სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთით 5.75%-ი, წარმოშობის თარიღში ბაზარზე მოქმედ განაკვეთებზე ნაკლები იყო და ინსტრუმენტები თავდაპირველი აღიარებისას მათი სამართლიანი ღირებულებით შეაფასა, მომავალი საპროცენტო და ძირითადი თანხის გადახდების, მსგავსი ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებისას არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით დისკონტირების გზით (იხილეთ შენიშვნა 13(გ)).

2020 წლის განმავლობაში მიღებული, 1,524 ათასი ევროს ეკვივალენტური 4,930 ათასი ლარის ოდენობით არაუზრუნველყოფილი სესხი დაკავშირებული მხარეებისგან, სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთით 5.75%-ი, მიჩნეულ იქნა დამოუკიდებელ მხარეებს შორის დადებულ გარიგებად, რადგან სესხი ფაქტობრივად მიღებულ იქნა ადგილობრივი ბანკისგან პირდაპირი მშობელი კომპანიის, სს "მარუსიას" (საქართველო) საშუალებით.

2020 წელს, აღიარებული 9,654 ათასი ლარიდან, 10,580 ათასი ლარი იქნა აღიარებული როგორც დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული დაბალპროცენტიანი სესხების დისკონტირება, დამატებით გადახდილი კაპიტალის სახით, (926 ათასი ლარი) წარმოადგენს უმცირესობაში მყოფი აქციონერებისგან მიღებული დაბალპროცენტიანი სესხების დისკონტირების აღიარების შეწყვეტას; 926 ათასი ლარიდან, 574 ათასი ლარის აღიარება შეწყდა დამატებით გადახდილი კაპიტალიდან და 352 ათასი ლარი აღიარდა სხვა ხარჯების სახით, მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც უმცირესობაში მყოფი აქციონერებისგან მიღებული სესხების გამოუყენებელი წილი, რომელიც დაფარულ იქნა დაფარვის ვადის დადგომამდე.

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

'000 ლარი	2020	2019
სავაჭრო ვალდებულებები	2,645	2,683
სავაჭრო ვალდებულებები		
დაკავშირებული მხარეების მიმართ	375	49
სხვა ვალდებულებები	153	331
	3,173	3,063

კომპანიის დამოკიდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებულ სავალუტო და ლიკვიდურობის რისკზე განხილულია მე-16 შენიშვნაში.

16. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(ა) სააღრიცხვო კლასიფიკაციები და სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა, გაურკვევლობებიდან და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს იმ ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვით ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადაცემით შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის სტანდარტულ ოპერაციაში. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების

სამართლიანი ღირებულება ანგარიშდება ძირითადი თანხის და პროცენტის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის პროცენტის საბაზრო განაკვეთით დისკონტირდება.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათი საბალანსო ღირებულებისგან არსებითად არ განსხვავდება.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობის გამო კომპანია შემდეგ რისკებს გასწევს:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 16 (ბ)(ii);
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 16 (ბ)(iii);
- საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 16 (ბ)(iv); და
- საპროცენტო განაკვეთის რისკი (იხილეთ შენიშვნა 16 (ბ)(v).

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

დირექტორთა საბჭოს აკისრია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. ტრენინგების, მართვის სტანდარტებისა და პროცედურების გამოყენებით, კომპანია მიზნად ისახავს განავითაროს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული აქვს თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ზარალის რისკს, თუ ფინანსური ინსტრუმენტის მომხმარებელი ან კონტრაჰენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელმწიფოებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი ძირითადად წარმოიშობება კლიენტების მიმართ კომპანიის მოთხოვნებიდან. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს ყველაზე დიდ საკრედიტო რისკს.

18 ათასი ლარის ოდენობით დამატებითი გაუფასურების ზარალი ფინანსურ აქტივებზე იქნა აღიარებული მოგებაში ან ზარალში 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის (2019: ნული).

სავაჭრო მოთხოვნები

„კომპანიის“ საკრედიტო რისკზე მოქმედებს თითოეული კლიენტის ინდივიდუალური მახასიათებლები. თუმცა, ხელმძღვანელობა ასევე ითვალისწინებს ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიონ კომპანიის კლიენტთა ბაზის საკრედიტო რისკზე, მათ შორის იმ ინდუსტრიის და ქვეყნის დეფოლტის რისკს, რომელშიც ფუნქციონირებენ მომხმარებლები, კერძოდ კი ამჟამად გაუარესებულ ეკონომიკურ პირობებში. კომპანიის შემოსავლის დაახლოებით 47% (2019 წელს: 26%) უკავშირდება სავაჭრო ოპერაციებს ერთ კლიენტთან.

კომპანია არ ითხოვს უზრუნველყოფას სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში.

კომპანია განსაზღვრავს გაუფასურების რეზერვს, რომელიც წარმოადგენს მოსალოდნელი ზარალის მისეულ შეფასებას სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში.

მაქსიმალური საკრედიტო რისკი სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში საანგარიშგებო თარიღისთვის, გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით იყო შემდეგი:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	2020	2019
დსთ-ს ქვეყნები	1,822	1,123
ადგილობრივი	244	1,488
ევროზონის ქვეყნები	86	143
სხვა რეგიონები	58	126
	2,210	2,880

სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებული მაქსიმალური საკრედიტო რისკი საანგარიშგებო თარიღისთვის კონტრაქტების ტიპების მიხედვით იყო შემდეგი:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	2020	2019
საბითუმო კლიენტები	2,199	2,655
საცალო კლიენტები	11	225
	2,210	2,880

კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი კლიენტი "Delta Club" (საბოლოო მაკონტროლებელი მხარის კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანია) 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, შეადგენს სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულების 1,822 ათას ლარს (2019: 925 ათასი ლარი). 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „მარუსია“ (საქართველო) წარმოადგენს სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულების ნაწილს 258 ათასი ლარის ოდენობით (2019 წელს: 1,340 ათასი ლარი).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

კომპანია ინდივიდუალური კლიენტების სავაჭრო მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის შეფასებისთვის იყენებს რეზერვის მატრიცას. ზარალის განაკვეთი გამოითვლება „ბრუნვის განაკვეთის“ მეთოდის გამოყენებით, რომელიც დაფუძნებულია მოთხოვნის ალბათობაზე მოახდინოს პროგრესირება თანმიმდევრულ ეტაპებში ვადაგადაცილებიდან ჩამოწერამდე.

შემდეგი ცხრილი ასახავს ინფორმაციას საკრედიტო რისკზე დაქვემდებარებაზე და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე კლიენტების მიმართ სავაჭრო მოთხოვნებისთვის 31 დეკემბრისთვის:

'000 ლარი	საშუალო შეწონილი ზარალის განაკვეთი	ბრუტო	ანარიცხი	ბრუტო	ანარიცხი
		31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2019
ხანდაზმულობა გაყიდვის თარიღიდან					
მიმდინარე					
(ვადაგადაცილების გარეშე)	1%	2,191	(27)	2,281	(51)
1-30 დღემდე	4%	-	-	676	(26)
61-90 დღემდე	41%	22	(9)	-	-
91-120 დღემდე	52%	81	(48)	-	-
		2,294	(84)	2,957	(77)

ზემოთ მოცემულ ცხრილში ხანდაზმულობა გამოითვლებოდა გაყიდვის თარიღიდან. ხელშეკრულებაში შეთანხმებული საშუალო გადახდის პერიოდი არის 90 დღე.

კომპანიას მიაჩნია, რომ არაგაუფასურებული ვადაგადაცილებული ოდენობები კიდევ ექვემდებარება შეგროვებას, წარსულ გადახდების გამოცდილებაზე და შესაბამისი კლიენტების საკრედიტო რეიტინგების ანალიზზე დაყრდნობით (ხელმისაწვდომობის შემთხვევაში).

გაუფასურების რეზერვის მოძრაობა სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში

მოძრაობა გაუფასურების რეზერვში სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

’000 ლარი	ჯგუფური გაუფასურება	
	2020	2019
ნაშთი წლის დასაწყისში	(77)	(119)
აღიარებული გაუფასურების ზარალი	(18)	-
გაუფასურებული მოთხოვნების აღდგენა	9	24
ჩამოწერა	2	18
ნაშთი წლის ბოლოს	(84)	(77)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაუფასურება 84 ათასი ლარის ოდენობით (2019: 77 ათასი ლარი) უკავშირდება რამოდენიმე კლიენტს, რომლებმაც მიუთითეს, რომ ისინი სავარაუდოდ ვერ შეძლებენ მათი ნარჩენი ნაშთების დაფარვას, ძირითადად ეკონომიკური გარემოებების გამო.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2020 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანია ფლობდა ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს 1,166 ათასი ლარის ოდენობით (2019 წელს: 1,858 ათასი ლარი), რომელიც წარმოადგენს მოცემულ აქტივებზე მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია ბანკებში, რომლებსაც ფიტჩის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ BB- რეიტინგი. ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ კონტრაქტები ვერ დააკმაყოფილებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

გაუფასურება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე და ასახავს დაქვემდებარებების მოკლე ვადიანობას. კომპანია მიიჩნევს, რომ მის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, მისი კონტრაქტების გარე საკრედიტო რეიტინგებზე დაყრდნობით.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულის ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. ლიკვიდურობის მართვისადმი კომპანიის მიდგომა განსაზღვრულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესაძლებლობის ფარგლებში მას ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა ვალდებულების დროულად დასაფარად, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ გარემოებებში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

კომპანიის მიზანს წარმოადგენს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების დონის შენარჩუნება თანმიმდევრული 60 დღის განმავლობაში ფინანსურ ვალდებულებებზე მოსალოდნელ ფულად გადინებაზე მეტი ოდენობით. ჩვეულებრივ, კომპანია უზრუნველყოფს, რომ მას ჰქონდეს სათანადო ოდენობით მოთხოვნამდე ფულადი სახსრები, 60 დღის განმავლობაში მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯების, მათ შორის ფინანსური ვალდებულებების მომსახურებების დასაკმაყოფილებლად; ეს გამორიცხავს ექსტრემალური ვითარებების პოტენციურ გავლენას რომელთა გონივრულად წინასწარმეტყველება არის შეუძლებელი, როგორც არის სტიქიური უბედურებები და გლობალური პანდემია.

ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარება

ქვემოთ მოცემულია საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი სახელშეკრულებო ვადიანობა. თანხები წარმოდგენილია ბრუტო და არადისკონტირებული ფორმით და მოიცავს სავარაუდო საპროცენტო გადახდებს.

31 დეკემბერი 2020

	საბალანსო ლირებულბა	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები			
		სულ	2-12 თვემდე	1-2 წლამდე	3-5 წლამდე
'000 ლარი					
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სესხები დაკავშირებული					
მხარეებისგან	49,376	74,413	2,983	2,867	68,563
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,173	3,173	3,173	-	-
	52,549	77,586	6,156	2,867	68,563

31 დეკემბერი 2019

	საბალანსო ლირებულბა	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები			
		სულ	6 თვეზე ნაკლები	1-2 წლამდე	2-5 წლამდე
'000 ლარი					
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სესხები დაკავშირებული					
მხარეებისგან	32,340	37,450	13,670	17,099	6,681
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,732	2,732	2,732	-	-
	35,072	40,182	16,402	17,099	6,681

არ არის მოსალოდნელი, რომ ვადიანობის ანალიზში შემავალი ფულადი ნაკადები შესაძლოა წარმოიშვას მნიშვნელოვნად უფრო ადრე, ან მნიშვნელოვნად განსხვავებული ოდენობებით.

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლით კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

კომპანია გასწევს ფინანსურ ვალდებულებებს, საბაზრო რისკების მართვის მიზნით. კომპანია არ იყენებს ჰეჯირების ანგარიშგებას მოგებასა თუ ზარალში მერყეობის მართვის მიზნით.

სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს იმ გაყიდვებთან და შესყიდვებთან მიმართებაში, რომლებიც კომპანიის სამუშაო ვალუტასგან განსხვავებულ ვალუტაში არის დენომინირებული. ვალუტა, რომელშიც ძირითადად არის დენომინირებული აღნიშნული ოპერაციები არის ევრო და აშშ დოლარი.

კრედიტები და მათზე დარიცხული პროცენტი ძირითადად ლარშია დენომინირებული, რაც შეესაბამება კომპანიის შესაბამისი ოპერაციებით გენერირებულ, ძირითადად ლარში დენომინირებულ, ფულად ნაკადებს. ეს წარმოქმნის ეკონომიკურ ჰეჯირებას და არ ხდება წარმოებული ინსტრუმენტების ფორმირება.

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

კომპანიის დაქვემდებარება სავალუტო რისკზე იყო შემდეგი:

'000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 2020	ევროში დენომინირებული 2020	აშშ დოლარში დენომინირებული 2019	ევროში დენომინირებული 2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	325	1,907	133	1,259
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	112	817	232	1,459
სავაჭრო ვალდებულებები	(74)	(339)	(26)	(78)
სესხები და კრედიტები	-	(18,070)	-	(11,128)
წმინდა დაქვემდებარება	363	(15,685)	339	(8,488)

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო განაკვეთი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული განაკვეთი	
	2020	2019	2020	2019
1 აშშ დოლარი	3.1097	2.8192	3.2766	2.8677
1 ევრო	3.5519	3.1553	4.0233	3.2095

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის კურსის გონივრული შესაძლო გამყარება (შესუსტება), ქვემოთ მითითებულის შესაბამისად, ყველა სხვა ვალუტასთან მიმართებაში, 31 დეკემბრის მდგომარეობით, იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და ასევე იმოქმედებდა მოგებაზე ან ზარალზე, ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. ანალიზი გაცემდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩებოდა და გამორიცხავს საპროგნოზო გაყიდვების და შესყიდვების ნებისმიერ გავლენას.

'000 ლარი	მოგება ან ზარალი	
	ლარის გამყარება	ლარის შესუსტება
31 დეკემბერი 2020		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(36)	36
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	1,568	(1,568)
31 დეკემბერი 2019		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(34)	34
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	849	(849)

(v) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, ძირითადად, გავლენას ახდენს სესხებსა და კრედიტებზე, სესხის სამართლიანი ღირებულების ცვლილების (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მომავალი ფულადი ნაკადების (სესხი ცვლადი განაკვეთით) ცვლილების გზით. ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის განსაზღვრად, თუ რა ოდენობით უნდა ექვემდებარებოდეს კომპანია ფიქსირებულ ან ცვლად განაკვეთებს. თუმცა, ახალი სესხების ან კრედიტების აღებისას, ხელმძღვანელობა საკუთარ მსჯელობას იყენებს იმის გადასაწყვეტად, რომელი ცვლადი უფრო ხელსაყრელი იქნება კომპანიისთვის მოსალოდნელ პერიოდში, დაფარვის ვადის დადგომამდე - ფიქსირებულგანაკვეთიანი, თუ ცვლადგანაკვეთიანი.

საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება

საანგარიშგებო თარიღისთვის, კომპანიის პროცენტიანი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის პროფილი იყო შემდეგი:

'000 ლარი	საბალანსო ღირებულება	
	2020	2019
ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტები		
ფინანსური ვალდებულებები	(49,376)	(32,340)
	(49,376)	(32,340)

სამართლიანი ღირებულების მგრძნობელობის ანალიზი ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტებისთვის

კომპანია არ აღრიცხავს ფიქსირებულგანაკვეთიან ფინანსურ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. შესაბამისად, ცვლილება საპროცენტო განაკვეთებში საანგარიშგებო თარიღისთვის არ იმოქმედებდა მოგებაზე ან ზარალზე, ან კაპიტალზე.

17. ვალდებულებები

2020 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიას არ დაუდია ახალი ხელშეკრულებები ძირითადი საშუალებების მშენებლობას ან შესყიდვაზე (2019 წლის 31 დეკემბერი: 3,755 ათასი ევრო).

18. პირობითი ვალდებულებები

(ა) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ცვლილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ განსახილველად, სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს ღია.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა, უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემების მქონე ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების გათვალისწინებით. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს „კომპანიის“ ინტერპრეტაციისაგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

19. დაკავშირებული მხარეები

(ა) მშობელი კომპანია და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე

კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანიაა სს „მარუსია“ (საქართველო). კომპანიის საბოლოო მშობელი კომპანიაა „Sastre Holding SA“, შვეიცარიაში დაფუძნებული კომპანია. ხოლო კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა „Paulsen Familiae Foundation“, ჯერსის კანონმდებლობის ქვეშ რეგისტრირებული იურიდიული პირი.

(ბ) ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვანმა ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია პერსონალის ხარჯებში (იხილეთ შენიშვნა 6 (ა)):

'000 ლარი	2020	2019
ხელფასები და ბონუსები	697	568

(გ) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

'000 ლარი	გარიგების ღირებულება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბერს	
	2020	2019	2020	2019
საქონლისა და მომსახურების გაყიდვა:				
მშობელი კომპანია	786	2,832	258	1,340
მშობელი კომპანიის სხვა				
შვილობილი კომპანიები	3,294	2,732	1,828	1,271
სამეთვალყურეო საბჭოს წევრები	-	7	-	-
საქონლისა და მომსახურების შესყიდვა:				
მშობელი კომპანია	847	912	182	-
მშობელი კომპანიის სხვა				
შვილობილი კომპანიები	413	842	193	49

'000 ლარი	31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მიღებული სესხები		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბერს	
	2020	2019	2020	2019
დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხები:				
მშობელი კომპანია	24,668	12,870	49,376	30,236
მშობელი კომპანიის სხვა				
შვილობილი კომპანიები	50	-	-	-
უმცირესობაში მყოფი აქციონერები, რომლებიც იმყოფებიან სამეთვალყურეო საბჭოში	-	440	-	2,104

ყველა დაუფარავი ნაშთი დაკავშირებული მხარეების მიმართ, გარდა მიღებული სესხებისა, უნდა დაიფაროს ნაღდი ანგარიშსწორებით, საანგარიშგებო თარიღიდან ექვსი თვის განმავლობაში. დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხების შესახებ ინფორმაცია განსაზღვრულია მე-14 შენიშვნაში. არცერთი ნაშთი არ არის უზრუნველყოფილი.

20. შემდგომი მოვლენები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, საქართველოს მთავრობის მიერ Covid-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების უმეტესი ნაწილი მოხსნილია; მიუხედავად იმისა, რომ კაფეები და რესტორნები, ადგილების შეზღუდული რაოდენობით, უკვე გახსნილია და საზღვრებიც გაიხსნა რამდენიმე ქვეყნისთვის, ბაზრის აღდგენა სრულად არ მომხდარა.

2021 წლის თებერვალი-აპრილის პერიოდში, მუხრანბატონის სასახლის განახლების სამუშაოებთან დაკავშირებული კაპიტალური დანახარჯების ბიუჯეტის გეგმების მხარდასაჭერად და COVID-19-ით გამოწვეული საოპერაციო დეფიციტის შესავსებად, კომპანიამ მიიღო 1.9 მილიონი ევროს ოდენობით სესხი "MBev Holding AG"-სგან (კომპანიის პირდაპირი მშობელი კომპანიის მშობელი კომპანია).

21. შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა ქვემოთ მოცემული ერთეულებისა, რომლებიც ფასდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის ალტერნატიულ საფუძველზე.

ერთეულები

ძირითადი საშუალებები, დაუმთავრებელი მშენებლობების და ნაყოფის მომცემი კულტურების გარდა

სასოფლო-სამეურნეო ნაწარმი

შეფასების საფუძველები

სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება, გაყიდვების
თვითღირებულების გამოკლებით

22. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

(ა) შემოსავალი

გაყიდული საქონელი

შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია აკმაყოფილებს თავის ნაკისრ ვალდებულებას დაპირებული საქონლის კლიენტზე გადაცემით. როდესაც ნაკისრი ვალდებულება დაკმაყოფილებულია, კომპანია შემოსავლად გარიგების ფასის ოდენობას აღიარებს, რაც გამოიწვევს მესამე მხარეების სახელით შეგროვებულ თანხებს. შემოსავალი არის გაყიდვების ღირებულებას გამოკლებული ფასდაკლებები და სხვა ტიპის ფასდათმობები, დღგ და სხვა გაყიდვებთან დაკავშირებული გადასახადები. კლიენტებზე გაკეთებული ფასდათმობები აკლდება შემოსავალს გაყიდვებთან დაკავშირებული გადახდილი ოდენობების შემთხვევაში.

კომპანია მოთხოვნას აღიარებს მაშინ როდესაც საქონელი მიწოდებულია კლიენტზე, რადგან ეს წარმოადგენს დროის იმ მომენტს როდესაც უფლება ანაზღაურების მიღებაზე ხდება უპირობო, რადგან გადახდის მიღებამდე მხოლოდ დრო არის საჭირო.

მომსახურება

შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან (ღვინის ტურები და ღონისძიებები) აღიარდება გარკვეული დროის მანძილზე. მსგავსი ხელშეკრულებების შემთხვევაში კომპანია გასწევს ღვინის ტურებთან და ღონისძიებებთან დაკავშირებულ მომსახურებებს დროის მოკლე პერიოდში და კლიენტი ერთდროულად იღებს და მოიხმარს საწარმოს მიერ მიწოდებულ სარგებელს მისი მიწოდების პროცესში.

(ბ) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საპროცენტო ხარჯი;
- საპროცენტო შემოსავალი საბანკო დეპოზიტებზე;
- სავალუტო ამონაგები ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე.

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

„ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ არის განაკვეთი რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ფულად გადახდებს ან შემოსულობებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის მიხედვით:

- ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე; ან
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებაზე;

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის გამოთვლისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის გაუფასურებული კრედიტით) ან ვალდებულების ამორტიზირებულ ღირებულებაზე. თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაუფასურდა კრედიტით, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებაზე გამოყენებით. თუ აქტივი აღარ არის კრედიტით გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გამოთვლა უბრუნდება მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის მეთოდს.

ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული ამონაგები და ზარალი აღირიცხება წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის გათვალისწინებით თუ სად აქვს ადგილი უცხოური ვალუტის მოძრაობას - წმინდა ამონაგების თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

(გ) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება კომპანიის სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. სავალუტო ამონაგები ან ზარალი ფულად მუხლებზე, წარმოადგენს პერიოდის დასაწყისში არსებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული მოქმედი ვალუტის ამორტიზირებული ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებულ, უცხოურ ვალუტაში ასახულ ამორტიზირებული ღირებულების სხვაობას.

არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული და რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება, გადაყვანილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით. არაფულადი ერთეულები, რომელთა ისტორიული ღირებულება უცხოურ ვალუტაშია შეფასებული, გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების თარიღისათვის არსებული შესაბამისი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(დ) დასაქმებულთა გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღიარდება შესაბამისი მომსახურების გაწევისთანავე. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია თუ კომპანიას ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა დასაქმებულის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და როდესაც ამგვარი ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იყოს შეფასებული.

(ე) სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება კაპიტალის სახით. ზრდადი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ჩვეულებრივი აქციების გამოშვებას და სააქციო ოფციონებს, აღიარდება კაპიტალიდან დაქვითვის სახით.

სააქციო პრემია

სააქციო კაპიტალის ზრდისას, ნებისმიერი სხვაობა სააქციო კაპიტალის რეგისტრირებულ თანხასა და ფაქტიურად მიღებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას შორის აღიარდება სააქციო პრემიის სახით.

(ვ) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. ის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება ბიზნეს შერწყმას, ან პირდაპირ კაპიტალში, ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

(ი) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადი მოიცავს მოსალოდნელ საგადასახადო ვალდებულებებს, ან მოთხოვნებს წლის დასაბეგრ შემოსავალზე, ან ზარალზე, ისეთი საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომელიც ძალაშია, ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისათვის და წინა წლებთან მიმართებაში საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი კორექტირების გამოყენებით. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც, ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადადის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. თუმცა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები

დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებსა და სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვარსგადაცილებული წარმომადგენლობითი ხარჯები.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია გადახდილ მიმდინარე გადასახადზე 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2018 ან შემდეგ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც ხარჯი დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტიური გადახდის თარიღისა ან იმ პერიოდისა რომლისთვისაც გადახდილ იქნა დივიდენდი.

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო საფუძვლებს და მათ საბალანსო ღირებულებებს და, შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ წარმოიშვება.

წინა პერიოდებში დარიცხული საგადასახადო ზარალი არ გამოიყენება მომავალ დაბეგვრად მოგებებთან მიმართებაში.

(ზ) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება გამოიანგარიშება საშუალო შეწონილის პრინციპის საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებაზე ან დამუშავებაზე და მათი ადგილზე მიწოდებასა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა ხარჯებს. წარმოებული მარაგების და დაუსრულებელი სამუშაოს შემთხვევაში, თვითღირებულება მოიცავს წარმოების ზედნადები ხარჯების შესაბამის წილს, ჩვეულებრივი საოპერაციო სიმძლავრის საფუძველზე.

საქმიანობის ჩვეულებრივად მიმდინარეობის პირობებში, წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას, გამოკლებული სავარაუდო დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

კომპანია არ იყენებს ბასს 23-ს (ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები), საკრედიტო ხარჯებთან მიმართებაში, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება მზა პროდუქციას (ღვინო) და რომელიც წარმოებულია ან სხვაგვარად არის გამოშვებული დიდი რაოდენობით განმეორებად საფუძველზე.

(თ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

აქტივად აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების ერთეული, გარდა დაუსრულებელი მშენებლობისა და ნაყოფის მომცემი კულტურებისა, რომლებიც ფასდება თვითღირებულებით, რომლის სამართლიანი ღირებულება შესაძლოა სანდოდ იქნას შეფასებული, აღირიცხება გადაფასებული ოდენობით, რომელიც წარმოადგენს მის სამართლიან ღირებულებას, გადაფასების თარიღისთვის, გამოკლებული ნებისმიერი შემდგომი დაგროვილი ცვეთა და შემდგომი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. გადაფასება ხდება სათანადო სიხშირით იმის

უზრუნველსაყოფად, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისგან, რომელიც განისაზღვრებოდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებული სამართლიანი ღირებულების გამოყენებით. მიწის და შენობა-ნაგებობების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება ბაზარზე დაფუძნებული მტკიცებულებების შეფასებებით, რომელსაც ატარებენ პროფესიონალი და კვალიფიციური შემფასებლები. ძირითადი საშუალების ერთეულების სამართლიანი ღირებულება არის შემფასებლის მიერ განსაზღვრული მათი საბაზრო ღირებულება. თუ არ იარსებებს სამართლიანი ღირებულების ბაზარზე დაფუძნებული მტკიცებულება ძირითადი საშუალებების ერთეულის სპეციალიზირებული ბუნების გამო და ერთეული იშვიათად იყიდება, გარდა უწყვეტი საქმიანობის ნაწილისა, კომპანიას შესაძლოა დასჭირდეს სამართლიანი ღირებულების შეფასება შემოსავალზე, ბაზრის მონაცემებზე ან თვითღირებულებაზე დაფუძნებული მდგომარეობის გამოყენებით.

გადაფასების სიხშირე დამოკიდებულია გადასაფასებელი ძირითადი საშუალებების ერთეულების სამართლიანი ღირებულების ცვლილებებზე. როდესაც გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებისგან, უნდა ჩატარდეს დამატებითი გადაფასების პროცედურები.

თუ ძირითადი საშუალებების ერთეული გადაფასდება, ასევე უნდა გადაფასდეს ძირითადი საშუალებების მთლიანი ჯგუფი, რომელსაც ამგვარი ერთეული განეკუთვნება. ძირითადი საშუალებების შემდგომი ცვეთა ისეთი სახით აღირიცხება, რომ ჩამოიწეროს ამორტიზირებული ღირებულება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე და დაანგარიშდება წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ძირითად საშუალებებზე გადაფასების ზრდა აღიარდება პირდაპირ სხვა სრულ შემოსავალში წარმოდგენილი გადაფასების ზედმეტობის სახით. თუმცა, ზრდა აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ შემთხვევაში, თუ ის აღადგენს ადრე მოგებაში ან ზარალში აღიარებული იგივე აქტივის გადაფასების კლებას.

გადაფასების კლება ძირითად საშუალებებზე მოგებაში ან ზარალში აღიარდება. თუმცა, კლება აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, იმ ოდენობით რამდენითაც არსებობს გადაფასების ზედმეტობა რომელიმე საკრედიტო ნაშთში.

დაუსრულებელი აქტივები ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. თვითღირებულება მოიცავს მასალების და პირდაპირ გაწეული შრომის ღირებულებას, ნებისმიერი სხვა ხარჯს, რომელიც პირდაპირ უკავშირდება აქტივის დანიშნულებისამებრ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას, ერთეულების დემონტაჟს და ტერიტორიიდან გატანის ხარჯებს, იმ ტერიტორიის აღდგენის ხარჯებს, სადაც განთავსებული იყო ამგვარი აქტივი და ასევე კაპიტალიზებული სესხის ხარჯებს.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ღირებულება აისახება ერთეულის საბალანსო ღირებულებაზე, თუ იგი უზრუნველყოფს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოდინებას კომპანიაში და შესაძლებელია მისი თვითღირებულების საიმედოდ შეფასება. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების დანახარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, მათი გაწევისთანავე.

(iii) ნაყოფის მომცემი კულტურები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია

ნაყოფის მომცემი კულტურები გამოიყენება წარმოების ზრდის მიზნით. ერთადერთი მნიშვნელოვანი მომავალი ეკონომიკური სარგებელი ნაყოფის მომცემი კულტურებიდან წარმოიშვება იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაყიდვიდან, რომლებიც მცენარეებიდან მიღებული ნაყოფისგან მზადდება. ნაყოფის მომცემი კულტურები შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას ბასს 16-ის საფუძველზე და მათი ფუნქციონირება წარმოების მსგავსია. შესაბამისად, ბასს 16-ის და ბასს 41-ის ცვლილებები (სოფლის მეურნეობა: ნაყოფის მომცემი კულტურები) მოითხოვენ ნაყოფის მომცემი კულტურების ძირითად საშუალებებად აღრიცხვას და ისინი შეყვანილია ბასს 16-ში, ბასს 41-ის ნაცვლად. სამეურნეო პროდუქცია, რომელიც ნაყოფის მომცემი კულტურებისგან მიიღება დარჩება ბასს 41-ს ფარგლებში.

ნაყოფის მომცემი კულტურები აღირიცხება თვითღირებულებით, აკუმულირებული ცვეთის და ნებისმიერი აკუმულირებული გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ნაყოფის მომცემი კულტურების თვითღირებულება მოიცავს აქტივების სამართლიან ღირებულებას, რომელიც 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით განისაზღვრება სავარაუდო ღირებულების სახით.

ნაყოფის მომცემი კულტურების ცვეთა გაანგარიშდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, რათა თვითღირებულებას გამოკლებული ნარჩენი ღირებულება განაწილდეს მისი მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის (30 წელი) მანძილზე.

კომპანიის ნაყოფის მომცემი კულტურების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდი გადაიხედება და, საჭიროების შემთხვევაში, იცვლება, თუ იარსებებს მინიშნებები იმისა, რომ უკანასკნელი საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ცვლილებას ჰქონდა ადგილი.

კომპანია მოწეული ყურძნის კლასიფიცირებას ახდენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კატეგორიაში და მათ უპირატესად იყენებს საკუთარი ღვინის წარმოების მიზნით.

კომპანიის ნაყოფის მომცემი კულტურებიდან მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოსავლის აღების მომენტში მისი გაყიდვის თვითღირებულება გამოკლებით. ბასს 2-ის (მარაგები) მიზნებისთვის, საბაზრო ფასების მიხედვით დაანგარიშებულ სამართლიან ღირებულებას გამოკლებული მოსავლის აღების თარიღში არსებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაყიდვის თვითღირებულება წარმოადგენს წარმოების სავარაუდო ღირებულებას.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავდაპირველი აღიარებისას - სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის თვითღირებულებით- წარმოშობილი ამონაგები ან ზარალი შეტანილია მოგებაში ან ზარალში.

(iv) ცვეთა

ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან „კომპანიის“ შიდა ძალებით დამზადებულ აქტივთან მიმართებაში, მათი დასრულების და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის თარიღიდან. ცვეთა ეფუძნება აქტივის ღირებულებას, მისი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთვთვლად მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. იჯარით აღებული აქტივების ცვეთა ხდება იჯარის ვადასა და მათი სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესის განმავლობაში, თუ გონივრულ ფარგლებში აშკარა იქნება, რომ „კომპანია“ მიიღებს საკუთრების უფლებას იჯარის ვადის ბოლოსთვის. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების ერთეულების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადები, მიმდინარე და შესადარის პერიოდში, შემდეგია:

– შენობა-ნაგებობები	20 წელი;
– ძირითადი საშუალებები	5-30 წელი;
– ავეჯი და საოფისე ინვენტარი	7-10 წელი;
– სატრანსპორტო საშუალებები	3-8 წელი;
– სხვა აქტივები	5-10 წელი;
– ნაყოფის მომცემი კულტურები	30 წელი.

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხედება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

(ი) ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია იყენებს ფასს 9 ფინანსურ ინსტრუმენტებს, ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებებისა და სხვა არაფინანსური აქტივების ყიდვა - გაყიდვის ხელშეკრულებების აღრიცხვისა და შეფასებისათვის.

(i) აღიარება და თავდაპირველი შეფასება

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება მათი წარმოშობის თარიღში.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება ვაჭრობის თარიღში, როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე. ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება (თუ სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულ ერთეულს არ წარმოადგენს) საწყის ეტაპზე აღირიცხება სამართლიან ღირებულებას დამატებული მის შემენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების განხორციელების ხარჯები. სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტის გარეშე თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით.

(ii) ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

პირველადი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება: ამორტიზირებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლში ასახვით - ვალის ინვესტიცია; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლში ასახვით - კაპიტალის ინვესტიცია; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

პირველადი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები არ ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, მანამ სანამ კომპანია არ შეცვლის ფინანსური აქტივების აღრიცხვის ბიზნეს მოდელს, რა შემთხვევაშიც ყველა ჩართული ფინანსური აქტივი რეკლასიფიცირებულია ბიზნეს მოდელის ცვლილების შემდგომ პირველი სააღრიცხვო პერიოდის პირველივე დღეს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულად:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდებს წარმოადგენს.

ვალის ინვესტიცია შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს რომლის მიზანიც არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და ფინანსური აქტივების გაყიდვა; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდებს წარმოადგენს.

იმ კაპიტალის ინვესტიციის თავდაპირველი აღიარებისას, რომელიც არ არის სავაჭროდ გამიზნული, კომპანიამ შეიძლება შეუქცევად აირჩიოს ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების შემდგომი ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვა. ეს არჩევანი კეთდება თითოეული ინვესტიციის დონეზე.

ყველა ფინანსური აქტივი რომელიც არ კლასიფიცირდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანიას შეუძლია შეუქცევად აირჩიოს ფინანსური აქტივის, რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს მოთხოვნებს, ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება, ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასება, თუ აღნიშნული აღმოფხვრის ან არსებითად ამცირებს სააღრიცხვო შეუსაბამობას რომელიც სხვაგვარად წარმოიშვებოდა.

კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს (შენიშვნა 10) და ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებს (შენიშვნა 11) და კლასიფიცირებულია ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების კატეგორიაში. ეს აქტივები შემდგომში შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზირებული ღირებულება შემცირებულია გაუფასურების ზარალით. საპროცენტო შემოსავალი, სავალუტო ამონაგები და ზარალი და გაუფასურება აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ამონაგები ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებს, რომელთა დაფარვის ვადა არის სამი თვე ან ნაკლები შემენის თარიღიდან. მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილების რისკი დაბალია.

აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც ფინანსური აქტივიდან მიღებულ სახელშეკრულებო უფლებებს ფულად ნაკადებზე გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე უფლებებს.

კომპანია დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივების აღიარება არ წყდება.

(iii) ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც აღირიცხება - ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის არის სავაჭროდ გამიზნული, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად პირველადი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა ამონაგებით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში (გარდა სამართლიანი ღირებულების ცვლილების იმ ნაწილისა რომელიც გამოწვეულია კომპანიის საკუთარი საკრედიტო რისკის ცვლილებით, რომელიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში).

სხვა ფინანსური ვალდებულებები, რომელიც მოიცავს სესხებს დაკავშირებული მხარეებისგან და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, წარმოდგენილი შენიშვნებში 14 და 15, შესაბამისად, შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და სავალუტო ამონაგები და ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ამონაგები ან ზარალი ასევე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანიას აფასებს მის ყველა ფინანსურ ვალდებულებას ამორტიზირებული ღირებულებით.

(iv) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ცვლილება

ფინანსური აქტივები

თუ ფინანსური აქტივის პირობები იცვლება, კომპანიამ უნდა შეაფასოს არსებითად იცვლება თუარა შეცვლილი აქტივისგან წარმოშობილი ფულადი ნაკადები. თუ ფულად ნაკადებში არსებითი ცვლილებაა (ეგრეთ წოდებული „არსებითი ცვლილება“), მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შემთხვევაში, თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარება წყდება და ახალი ფინანსური აქტივი აღიარდება სამართლიანი ღირებულებით.

კომპანია ახორციელებს მოცემული ცვლილების არსებითობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას, ანუ არსებითად განსხვავდება თუარა საწყისი ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადები შეცვლილი ან ჩანაცვლებული ფინანსური აქტივიდან მიღებული ფულადი ნაკადებისგან. კომპანია აფასებს არსებითია თუარა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით, მოცემული თანმიმდევრობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლის საერთო გავლენა. თუ ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავდება, მაშინ თავდაპირველი ფინანსური აქტივისგან წარმოშობილ ფულად ნაკადებზე სახელშეკრულებო უფლებები მიიჩნევა ვადაგასულად. ამ შეფასების გაკეთების დროს კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის დროს გამოყენებული პრინციპების ანალოგიური პრინციპებით ხელმძღვანელობს.

კომპანია ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური აქტივის ვალუტაში;
- ცვლილება უზრუნველყოფაში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- ცვლილება ფინანსური აქტივის პირობებში, რომლებიც წვევს SPPI კრიტერიუმთან შეუსაბამობას (ანუ კონვერტაციის ფუნქციის დამატება).

თუ ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული შეცვლილი აქტივისგან მიღებული ფულადი ნაკადები, არ არის არსებითად შეცვლილი, მაშინ ცვლილების შედეგად ფინანსური აქტივის აღიარება არ წყდება. ამ შემთხვევაში, კომპანია ხელახლა ანგარიშობს ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას და მთლიანი საბალანსო ღირებულების კორექტირებისას წარმოქმნილ თანხას აღრიცხავს როგორც ცვლილების შედეგად მიღებულ ამონაგებს ან ზარალს მოგებაში ან ზარალში. ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ხელახლა ითვლება როგორც შეცვლილი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება, რომელიც დისკონტირდება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან საფასური აკორექტირებს შეცვლილი ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულებას და არის ამორტიზირებული შეცვლილი ფინანსური აქტივის ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როდესაც იცვლება მისი პირობები და არსებითად განსხვავდება შეცვლილი ფინანსური ვალდებულებისგან მიღებული ფულადი ნაკადები. ამ შემთხვევაში, ახალი შეცვლილ პირობებზე დაფუძნებული ფინანსური ვალდებულება აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. სხვაობა აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და ახალ შეცვლილ პირობებთან ფინანსურ ვალდებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ ცვლილება (ან გაცვლა) არ იწვევს ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტას კომპანია იყენებს ფინანსური აქტივის სრული საბალანსო ღირებულების კორექტირებისას გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. როდესაც ცვლილება არ იწვევს ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას კომპანია აღიარებს ესეთი ცვლილებიდან (ან გაცვლიდან) წარმოშობილ, ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულების ნებისმიერ კორექტირებას, მოგებაში ან ზარალში, ცვლილების (გაცვლის) თარიღში.

ცვლილებები არსებული ფინანსური ვალდებულებების ფულად ნაკადებში არ მიიჩნევა კორექტირებად, თუ ისინი წარმოიშვა არსებული სახელშეკრულებო პირობებიდან, მაგალითად ბანკის მიერ განხორციელებული ცვლილებები ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთში სებ-ს მიერ გაკეთებული საკვანძო განაკვეთების ცვლილების გამო, თუ სასესხო ხელშეკრულება აძლევს ბანკს ამის საშუალებას და კომპანიას აქვს საშუალება მიიღოს შეცვლილი განაკვეთი ან მოითხოვოს სესხის ძველ პირობებზე დატოვება ჯარიმის გადახდის გარეშე. საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისას არსებული საბაზრო განაკვეთის შესაბამისად, კომპანია ხელმძღვანელობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის ფინანსური ინსტრუმენტებით. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისად იცვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც.

კომპანია აფასებს არსებითია თუ არა ცვლილება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით: ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობრივი მაჩვენებლები, ორივე ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების საერთო გავლენა. კომპანია ასკვნის, რომ ცვლილება არსებითია შემდეგ ხარისხობრივ ფაქტორებზე დაყრდნობით:

- ცვლილება ფინანსური ვალდებულების ვალუტაში;
- ცვლილება უზრუნველყოფაში ან სხვა საკრედიტო პირობებში;
- კონვერტაციის შესაძლებლობის დამატება;
- ცვლილება ფინანსური ვალდებულების სუბორდინაციაში.

რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვნად იცვლება პირობები თუ ახალი პირობების მიხედვით ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულება, წმინდად გადახდილი თანხების (დისკონტირებული თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით) ჩათვლით, მინიმუმ 10%-ით განსხვავდება საწყისი ფინანსური ვალდებულებიდან წარმოქმნილი ნარჩენი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან. თუ ვალის ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების ცვლილება მიჩნეულია ვალის განულებად, ნებისმიერი

გაწეული ხარჯი ან გადასახადი აღიარებულია ვალის განულებიდან მიღებულ ამონაგებსა ან ზარალში. თუ გაცვლა ან ცვლილება არ არის მიჩნეული ვალის განულებად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან გადასახადი აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზირებულია შეცვლილი ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

(v) აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც ფინანსური აქტივიდან მიღებულ სახელშეკრულებო უფლებებს ფულად ნაკადებზე გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული, ან როდესაც კომპანია არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკებს და ანაზღაურებებს და კომპანია არ ინარჩუნებს ფინანსურ აქტივზე უფლებებს.

კომპანია დებს გარიგებებს, რომლითაც ის გადასცემს მისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ აქტივებს, მაგრამ ინარჩუნებს გადაცემულ აქტივებთან დაკავშირებულ ყველა ან თითქმის ყველა რისკს და ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევებში, გადაცემული აქტივების აღიარება არ წყდება.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას, როდესაც მისი სახელშეკრულებო ვალდებულებები დაკმაყოფილებულია, უქმდება ან ვადა გასდის. კომპანია ასევე წყვეტს ფინანსური ვალდებულების აღიარებას როცა მისი პირობები იცვლება და შეცვლილი ფინანსური ვალდებულებიდან მიღებული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად იცვლება, რა შემთხვევაშიც კორექტირებულ პირობებზე დაფუძნებული ახალი ფინანსური ვალდებულება აღიარდება მისი სამართლიანი ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას, გაუქმებულ საბალანსო ღირებულებას შორის და გადახდილ თანხას შორის სხვაობა (ნებისმიერი არაფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაცემის ჩათვლით) აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(vi) ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული აღსრულების უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება. კომპანიას ამჟამად აქვს ურთიერთგაქვითვის იურიდიული აღსრულების უფლება რომელიც არ არის დამოკიდებული მომავალ მოვლენაზე და აღსრულებადია როგორც საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას ასევე კომპანიის და მისი ყველა კონტრაქტის დეფოლტის, გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

(კ) გაუფასურება

(i) არაწარმოებული ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები და სახელშეკრულებო აქტივები

კომპანია აღიარებს ზარალის რეზერვებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე:

- ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსური აქტივებზე;
- სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებულ სასესხო ინვესტიციებზე; და
- სახელშეკრულებო აქტივებზე.

კომპანია აღრიცხავს ზარალის რეზერვებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით, შემდეგი შემთხვევების გარდა, როდესაც აღირიცხება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით:

- სასესხო ფასიანი ქაღალდები რომლებსაც საანგარიშგებო თარიღისთვის აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი; და
- სხვა სასესხო ფასიანი ქაღალდები და საბანკო ნაშთები რომელთათვისაც საკრედიტო რისკი (ანუ ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში დეფოლტის ალბათობა) არსებითად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

ზარალის რეზერვები სავაჭრო მოთხოვნებზე და სახელშეკრულებო აქტივებზე ყოველთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას, კომპანია ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი არასაჭირო ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და წინდახედულობის პრინციპის გათვალისწინებით.

კომპანია ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

კომპანია ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ როდესაც:

- არ არის სავარაუდო რომ მსესხებელი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს კომპანიის მიმართ, კომპანიის მიერ სესხის უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ესეთის არსებობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი რომელიც წარმოიშობა ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში.

12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი რომელიც წარმოიშობა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის თარიღიდან 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევებისაგან (ან უფრო მოკლე ვადაში თუ ფინანსური ინსტრუმენტის მოხმარების ვადა 12 თვეზე ნაკლებია).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს რომლის განმავლობაშიც კომპანია ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის ალბათობაზე დაფუძნებული სავარაუდო საკრედიტო ზარალი. საკრედიტო ზარალი აღირიცხება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით (ანუ სხვაობა ორგანიზაციიდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

კრედიტით გაუფასურებული ფინანსური აქტივები

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანია აფასებს არის თუ არა ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით ასახვით სასესხო ფასიანი ქაღალდები გაუფასურებული კრედიტით. ფინანსური აქტივი „გაუფასურებულია კრედიტით“ როდესაც ფინანსური აქტივის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე საზიანო გავლენის მქონე ერთ ან მეტ მოვლენას ჰქონდა ადგილი.

მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია კრედიტით მოიცავს შემდეგ დაკვირვებად მონაცემებს:

- მსესხებლის ან ემიტენტის არსებითი ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად დეფოლტი, ან 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება;
- კომპანიის მიერ წინსწრების ან სესხის რესტრუქტურისაცა იმ პირობებით რომლებსაც კომპანია სხვა შემთხვევაში არ განიხილავდა;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- უზრუნველყოფის აქტიური ბაზრის გაქრობა ფინანსური სირთულეების გამო;

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის წარდგენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში

ზარალის რეზერვი ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას.

სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სასესხო ფასიანი ქაღალდებისთვის, ზარალის რეზერვი დარიცხულია მოგებაზე ან ზარალზე და აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოწერილია როდესაც კომპანიას აღარ აქვს მისი მთლიანობაში ან ნაწილობრივ ამოღების გონივრული მოლოდინები. ინდივიდუალური კლიენტების შემთხვევაში როდესაც ფინანსური აქტივი 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია კომპანია იყენებს მთლიანი საბალანსო ღირებულების ჩამოწერის პოლიტიკას, მსგავსი აქტივების ამოღების წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. კორპორატიული კლიენტებისთვის კომპანია დამოუკიდებლად აფასებს ჩამოსაწერ ოდენობას და ვადებს, იმის მიხედვით არის თუ არა გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მოხერხდება თანხის ამოღება. კომპანია აღარ ელის მნიშვნელოვანი ოდენობის ამოღებას ჩამოწერილი თანხიდან. თუმცა, ჩამოწერილი ფინანსური აქტივები შეიძლება კიდევ დაექვემდებაროს აღსრულების მცდელობას კომპანიის მხრიდან ვადაგასული თანხების ამოღების პროცედურების შესაბამისად.

(ღ) ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ წარსული მოვლენების შედეგად კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის შეფასებაც საიმედოდ არის შესაძლებელი და სავარაუდოა, რომ ამ ვალდებულების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იქნება კომპანიიდან ეკონომიკური სარგებელის გადინება. ანარიცხები გამოითვლება მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადასახადების გადახდამდე არსებული განაკვეთით დისკონტირებით, რაც ასახავს ფულის ღირებულების დროში მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების განაწილება აღიარდება როგორც ფინანსური ხარჯი.

(მ) იჯარები

ხელშეკრულების დადებისას, კომპანია განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად გადასცემს თუ არა ხელშეკრულება კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას, კომპანია ფასს 16-ის იჯარის განმარტებას იყენებს.

(ი) როგორც მოიჯარე

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის, კომპანიას არ აქვს არსებითი საიჯარო ხელშეკრულებები, რომლებშიც ის მოქმედებს როგორც მოიჯარე. კომპანიამ აირჩია არ აღიაროს აქტივები გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებები მოკლევადიანი იჯარებისთვის. კომპანია აღნიშნულ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე.

23. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები რომლებიც 2020 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა კომპანიას ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შეცვლილი სტანდარტები მიღებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი კორექტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი გამიზნულ გამოყენებამდე (ბასს 16-ის კორექტირებები).
- კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ფასს 3-ის კორექტირებები);
- ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის კორექტირებები).
- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები და ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებების კორექტირებები
- დამამძიმებელი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის კორექტირებები)
- საპროცენტო განაკვეთის ბენჩმარკის რეფორმა - ეტაპი 2 (ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16-ის კორექტირებები).
- COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო კონცესიები (ფასს 16-ის კორექტირება).

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N210610218



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

16.06.2021 წ

სანოტარო მოქმედების დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

ლანა მაჭავარიანი

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ. თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. N1, სადარბაზო IV,
სართული 2

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

(+995) 595 10 16 08

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

24194730280821



მე, ნოტარიუსი ლანა მაჭავარიანი, რომლის სანოტარო ბიუროს მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. N1, სადარბაზო IV, სართული 2-ში ვამოწმებ ინგლისური ენის დიპლომირებული მთარგმნელის სოფიო კაპანაძის (დაბადებული: 08.02.1991 წ., დაბადების ადგილი: ქ. თბილისი, პირადი ნომერი: 01008047830, პირადობის მოწმობა № 113IL59605, გაცემულია 12.06.2015 წ., მცხოვრები: თბილისი, ამაშუკელის 16) ხელმოწერის ნამდვილობას დოკუმენტის - სს "შატო მუხრანი"-ს 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება - ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე თარგმანზე. თარჯიმანმა წარმოადგინა ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი: დიპლომი M № 19GE000656KAPS001G, გაცემულია 12.08.2019 წ., BRITISH COUNCIL, IELTS TEST მიერ, თარგმანმცოდნეობის საქმის (ინგლისური ენა) სპეციალობით.

მე, თარჯიმანი გავაფრთხილე თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებებისა და იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მოჰყვება არაზუსტ თარგმანს, თარჯიმანმა ჩემს წინაშე განაცხადა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყო ზუსტი თარგმანი. მისთვის ცნობილია, რომ პასუხსაგებს თარგმანის სისწორეზე და ხელი მოაწერა ჩემი თანდასწრებით.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური (წინამდებარე დოკუმენტის 2 ეგზემპლარზე შესრულებული 90 ხელმოწერის დამოწმებისათვის) 180 ლარი, (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილების N507-ის 31-ე მუხლისა), აგრეთვე დ.დ.გ 32 (ოცდათორმეტი) ლარი და 40(ორმოცი) თეთრი (თანხმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილების N507-ის 39-ე მუხლისა); სულ გადახდილია 214 (ორას თმთხმეტი) ლარი და 40 (ორმოცი) თეთრი.

ნოტარიუსი

ლანა მაჭავარიანი



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18



შეგთავაზებულია


შეგთავაზებულია

შეგთავაზებულია

შეგთავაზებულია

შეგთავაზებულია





CHÂTEAU MUKHRANI

— DEPUIS 1878 —

სს „შატო მუხრანი“

მმართველობითი ანგარიში - 2020

სარჩევი

მმართველობითი ანგარიში	3
შესავალი	3
საქმიანობის მიმოხილვა	3
ბაზრის მიმოხილვა	3
განვითარების გეგმა	4
საქართველოს ბაზრის კვლევა	4
ორგანიზაციის საქმიანობის სფერო და წარმოებული პროდუქცია	4
ორგანიზაციული სტრუქტურა	6
ფინანსური მიმოხილვა	7
არაფინანსური მახასიათებლები	8
ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე	8
კორუფციასთან ბრძოლა	8
რისკები და მათი მართვის მექანიზმი	8
საკრედიტო რისკი	8
სავაჭრო მოთხოვნები	8
ლიკვიდურობის რისკი	10
საბაზრო რისკი	12
საპროცენტო განაკვეთის რისკი	13

მმართველობითი ანგარიში

შესავალი

კომპანია „მატო მუხრანი“ შეიქმნა 2002 წელს და ჩვენს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ვენახების გაშენება, ყურძნის მოყვანა და ღვინის წარმოება, ასევე ტურიზმი და სარესტორნო მომსახურება. 2010 წელს რეორგანიზაციის შედეგად კომპანია გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებლები იყვნენ სს „მარუსია“ (საქართველო) (80%), მამუკა ხაზარაძე (11,97%) და ბადრი ჯაფარიძე (8,03%). 2020 წლის მაის-ივნისში სს „მარუსია“ (საქართველო)-მ სრულად შეიძინა ბადრი ჯაფარიძისგან და მამუკა ხაზარაძისგან კომპანიის მათი კუთვნილი წილები. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-ის მფლობელი არის სს „მარუსია“ (საქართველო).

სს „მატო მუხრანი“ მდებარეობს მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში. 2007 წელს ძირითადი ინვესტიცია განხორციელდა კომპანიის ახალ ღვინის ქარხანაში. დღეისათვის ქარხანა აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიით და აკმაყოფილებს ISO 9001:2005 (საკვების უსაფრთხოება) და ISO 9001:2008 (ხარისხის მართვის სტანდარტები) სტანდარტებს. 2007 წლის შემდეგ კომპანია ღვინოს საკუთარ ვენახში მოყვანილი ყურძნისგან აწარმოებს. ჩვენ გაშენებული გვაქვს ქართული ვაზის ჯიშები, როგორიცაა საფერავი, გორული მწვანე, რქაწითელი, და სხვა. ასევე გვაქვს ფრანგული ჯიშებიც, როგორიცაა შარდონე, სოვინიონ ბლანი, კაბერნე სოვინიონი და ა.შ. ჩვენი ვენახების ქარხნის გარშემო არის გაშენებული და იმისათვის, რომ ღვინო უფრო მეტად დახვეწილი და ნამდვილად უნიკალური იყოს, ღვინის ქარხანა დასამუშავებლად იღებს მაქსიმუმ 15-20 წუთით ადრე მოკრეფილ ყურძენს.

კომპანია აწარმოებს როგორც მშრალ, ასევე ნახევრად ტკბილ ღვინოებს. ჩვენი ღვინოები იყიდება საქართველოში და საზღვარგარეთ, თორმეტ ქვეყანაში. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არიან რუსეთი, უკრაინა და ჩინეთი.

საქმიანობის მიმოხილვა

ბაზრის მიმოხილვა

2020 წელს COVID-19 ვირუსის პანდემიამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა მეღვინეობის დარგზე. საერთაშორისო ბაზრებზე შემცირებულმა ექსპორტმა და შიდა ბაზარზე ტურისტული სეზონის ჩავარდნამ, დარგი ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. მიუხედავად ყველა გამოწვევისა, საქართველო ერთ-ერთი ქვეყანაა, რომელმაც წარმატებით გაართვა თავი მევენახეობა-მეღვინეობის სექტორს 2020 წელს. ამასთან ერთად, 2020 წელი საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის დარგისთვის რამდენიმე მიმართულებით იყო მნიშვნელოვანი:

2020 წელს, მეღვინეობის დარგის ერთ-ერთი მთავარი წარმატება ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) სპეციალური ღვინოების ჩამონათვალში ქართული ტექნოლოგიით დაყენებული ღვინის დამატება იყო. OIV-ის გენერალურმა ასამბლეამ ქართული ტექნოლოგიით „დურდოზე (ჭაჭა) ხანგრძლივი მაცერაციით დაყენებული ღვინის“ OIV-ის სპეციალური ღვინოების ჩამონათვალში დამატების გადაწყვეტილება 2020 წლის 26 ნოემბერს მიიღო.

ქართული ღვინის საერთაშორისო სტრატეგიულ ბაზრებზე საექსპორტო პოტენციალის გასაძლიერებლად, მსოფლიო პანდემიის ფონზე მარკეტინგული აქტივობები დისტანციურ ფორმატში, ონლაინ-დეგუსტაციებისა და სხვადასხვა ონლაინ-პლატფორმების გამოყენებით გაგრძელდა. გააქტიურდა რეკლამები ღვინის ონლაინ-საცალო გაყიდვების რეიტინგულ ვებგვერდებსა და აპლიკაციებზე, ტელევიზიებსა და რადიო ეთერებში, შეიქმნა ქართული ღვინის საპრომოციო გვერდები

სხვადასხვა სოციალურ მედიაში და ა.შ.¹

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, რომელიც ეფუძნება გაცემულ საექსპორტო სერტიფიკატებს, 2020 წელს საქართველოდან მსოფლიოს 60 ქვეყანაში 92,4 მლნ-მდე ბოთლი (0,75ლ) ღვინო იყო ექსპორტირებული, რაც 2019 წლის რაოდენობაზე 1%-ით ნაკლებია. ექსპორტირებული ღვინის ღირებულება 216,5 მლნ აშშ დოლარს აღწევს, რაც 2019 წლის ანალოგიურ მონაცემზე 9%-ით ნაკლებია. ექსპორტი გაიზარდა ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე: პოლონეთი - 27% (5 226 366 ბოთლი), აშშ - 34% (911 931 ბოთლი) და დიდი ბრიტანეთი - 154% (428 796 ბოთლი). კორონავირუსის მსოფლიო პანდემიიდან გამომდინარე კლებათ ჩინეთის ბაზარზე, სადაც ექსპორტირებულია 4 605 768 ბოთლი (კლება 35%). ზრდა აღსანიშნავია ასევე შემდეგ ქვეყნებში: უკრაინა 4% (10 660 884 ბოთლი), ბელარუსი - 32% (3 677 769 ბოთლი), ლატვია - 7% (1 598 455 ბოთლი), გერმანია - 4% (697 697 ბოთლი), კანადა 16% (188 286 ბოთლი), აზერბაიჯანი - 32% (1 831 64 ბოთლი), საფრანგეთი - 22% (183 164 ბოთლი), სამხრეთ კორეა - 353% (89 394 ბოთლი) და ა.შ.²

განვითარების გეგმა

2020 წლის დეკემბერში კომპანიის აქციონერებმა დაამტკიცეს 2021-2025 წლების ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც კომპანია შემდეგი ხუთი წლის განმავლობაში გეგმავს დაახლოებით 8,4 მილიონი ლარის ინვესტირებას ვენახებში, ღვინის ქარხნის ინფრასტრუქტურასა და სასახლის გარშემო არსებული კარმიდამოს განვითარებაში. დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით აღნიშნული ინვესტიცია განხორციელდება კომპანიის აქციონერისგან აღებული თანხებით. კომპანია ასევე გეგმავს მუხრანბატონის სასახლის რეაბილიტაციის დასრულებას 2021 წლის განმავლობაში. ამ პროექტის ხარჯები არ არის შესული დამტკიცებულ ბიუჯეტში და მისი დაფინანსება მოხდება როგორც კომპანიის საკუთარი სახსრებით, ასევე აქციონერების მიერ.

საქართველოს ბაზრის კვლევა

2019 წელს კომპანია EY-მ ფირმის დაკვეთით ჩაატარა საქართველოს დასაქმების ბაზრის კვლევა, რომლის მიზანი იყო ანალოგიურ ღვინის კომპანიებში მნიშვნელოვანი პოზიციების ანაზღაურების დიაპაზონების დადგენა. კვლევის შედეგები კომპანიას დაეხმარება მისი თანამშრომლების შრომის ანაზღაურების სწორად განსაზღვრასა და მათი მოტივაციის ამაღლებაში.

ორგანიზაციის საქმიანობის სფერო და წარმოებული პროდუქცია

კომპანია „შატო მუხრანი“ დაარსდა 2002 წელს და დღემდე წარმოადგენს მევენახეობის და მეღვინეობის დარგის ერთ-ერთ ლიდერ კომპანიას საქართველოში.

2020 წლის მეორე ნახევრიდან კომპანიის 100%-ის მფლობელია „მარუსია ჯგუფი“, რომელიც ამავდროულად არის საერთაშორისო სადისტრიბუციო ქსელი. „მარუსია ჯგუფი“ საქართველოში წარმოდგენილია 3 კომპანიით:

- ს.ს. „მარუსია საქართველო“ - ს.ს. „შატო მუხრანის“ უშუალო მშობელი კომპანია (იხ. შესავალი).
- საქმიანობის სფერო დისტრიბუცია.
- ს.ს. „შატო მუხრანი“
- შპს „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია“- საქმიანობის სფერო მევენახეობა და მეღვინეობა.

კომპანიას გააჩნია შემდეგი ბიზნეს მიმართულებები:

¹ <http://georgianwine.gov.ge/Ge/Files/Download/14170>

² <http://georgianwine.gov.ge/Ge/Files/Download/14170>

- მშრალი და ნახევრად მშრალი ღვინოების წარმოება,
- ჭაჭის წარმოება,
- ტურისტული და სარესტორნო მომსახურება.

ჩვენ ვაწარმოებთ შემდეგ პროდუქციას „შატო მუხრანის“ ბრენდების სახელით:

საფერავი სუპერიორი, სამეფო რეზერვი (წითელი და თეთრი), შავკაპიტო, რქაწითელი სუპერიორი, გორული მწვანე, შარდონე, თავკვერი, ჭაჭა და სხვა.

ორგანიზაციაში დასაქმებულია, დაახლოებით 70 ადამიანი. სეზონურად, ვენახის მოსავლელად, ხდება დამატებითი მუშა-ხელის დაქირავება.

კომპანია მუდმივად ზრუნავს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, უნარ-ჩვევების ინსტრუქტაჟისა და ტრენინგების საშუალებით. კომპანია აღჭურვილია უახლესი და თანამედროვე მანქანა-დანადგარებით, რომელთა განახლებაც მიმდინარეობს მუდმივად მსოფლიო ბაზარზე არსებული ტენდენციების გათვალისწინებით.

SWOT ანალიზი

კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე შესაძლებლობების და საფრთხეების შეფასებას. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩანს ამ შეფასების შედეგები:


ძლიერი მხარე	შესაძლებლობები
კომპანიის ისტორია, სტრატეგია და აქტივები	ქართული ღვინის რეპუტაცია - საქართველო, ღვინის აკვანი
ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება	მთავრობის მხარდაჭერა
აღიარება ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე	ტურიზმის ხელშეწყობა და განვითარება
მოგების ზრდის პოტენციალი	ახალი ბაზრები (მაგ. ჩინეთი)
მასიური წარმოების შესაძლებლობა (5 მილიონი ბოთლი)	ვენახების გაფართოება (მიწის შეძენა ვენახების გასაშენებლად)
საკუთარი ვენახები	საერთაშორისო დონეზე გაზრდილი მოთხოვნა ქვევრის ღვინოზე
არსებული საწარმოო დანადგარები	შუმშუნა და ვარდისფერი ღვინის წარმოება
განსაკუთრებული ადგილმდებარეობა, ბუნებრივი პირობები	
სრულყოფილი პორტფელი (ბრენდები, სტილი, ფასები)	
გაზრდილი ცნობადობა და იმიჯი საერთაშორისო ბაზრებზე (უკრაინა, რუსეთი და ა.შ.)	
ძლიერი გუნდი	
საერთაშორისო ჯგუფის ნაწილი, ძლიერი მხარდაჭერა	
სუსტი მხარეები	საფრთხეები
ქვეყნის ეკონომიკის არასტაბილურობა (ინფლაცია, კურსის ცვალებადობა)	COVID-19-ის პანდემიის ძლიერი უარყოფითი გავლენა საქართველოს და მსოფლიო ეკონომიკებზე.
წარმოების პოტენციალის არასრულად გამოყენება	კონკურენტების გაზრდილი ინვესტიცია მეღვინეობაში

პორტფელის ზრდის შესაძლებლობის არასრულად გამოყენება	ბევრი მცირე მედვინეობის (განსაკუთრებით ქვევრის წარმოება) აღმოცენება ბაზარზე
ხარისხისა და ფასის შეფარდება	ექსპორტის ზრდასთან ერთად კონკურენციის ზრდა
	ახალი საკანონმდებლო რეგულაციები
	ეკონომიკური საფრთხეები
	ბაზრების ცვალებადობა
	სტიქიური მოვლენები

ორგანიზაციული სტრუქტურა

კომპანია „შატო მუხრანში“ დასაქმებულია, დაახლოებით, 70 თანამშრომელი. ჩვენ მუდმივად ვცდილობთ გავაუმჯობესოთ თანამშრომელთა სამუშაო პირობები და გარემო. კომპანია ახალი თანამშრომლების შერჩევისას არჩევანს აკეთებს ყველაზე მოტივირებული და მონდომებული პირების სასარგებლოდ. კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომელთა გამოვლენას კომპანია ცდილობს ადეკვატური ანაზღაურებით, დამატებითი ბონუსების გაცემითა და გენდერული ბალანსის დაცვით.

კომპანია იზიარებს და იღებს მის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც მოითხოვს კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ, რაზეც ნათლად მიუთითებს კომპანიის შრომის შინაგანაწესი.



ფინანსური მიმოხილვა

2020 წელს ღვინისა და სპირტის რეალიზაციიდან მიღებულმა შემოსავალმა 5,8 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 40%-ით ნაკლებია წინა წლის მაჩვენებელზე. შემცირების უმთავრესი მიზეზი იყო COVID-19-ის პანდემიის მიერ გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც განსაკუთრებულად დიდი უარყოფითი გავლენა მოახდინა ადგილობრივ ბაზარზე. კომპანიის ზარალმა 2020 წელს შეადგინა 28,0 მილიონი ლარი, საიდანაც 22.7 მილიონი მიეკუთვნება ძირითადი საშუალებების გადაფასების შედეგად გამოწვეულ ზარალს. შედარებისათვის, 2019 წლის შედეგი იყო 24 ათასი ლარი მოგება. მოგების შემცირება ძირითადად განპირობებული იყო ღვინის გაყიდვების მნიშვნელოვნად შემცირებით ადგილობრივ ბაზარზე, ტურიზმის სექტორის პანდემიის გამო პარალიზებით და ძირითადი საშუალებების გადაფასებით გამოწვეული ზარალით. 2020 წელს ტურიზმის საქმიანობიდან ამონაგები წინა წელთან შედარებით 88%-ით შემცირდა და შეადგინა 261 ათასი ლარი.

ოპერაციებიდან შემოსულმა თანხებმა შეადგინა (2.9) მილიონი ლარი, როცა ანალოგიური მაჩვენებელი 2019 წელს იყო 0,3 მილიონი ლარი.

2020 წლის განმავლობაში კომპანიამ განახორციელა 17.5 მილიონი ლარის ინვესტიცია სხვადასხვა ძირითად საშუალებებში, უპირველეს ყოვლისა სასახლის რეკონსტრუქციაში და ასევე ვენახებში, კარმიდამოს გაუმჯობესებაში, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასა და ღვინის წარმოებისთვის საჭირო მანქანა-დანადგარებში. ანალოგიური მაჩვენებელი 2019 წელს შეადგენდა 11,6 მილიონ ლარს.

არაფინანსური მახასიათებლები

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

საქართველოს კანონმდებლობა ადგენს შრომის უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს. „შატო მუხრანი“ ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.

კომპანიის შენობაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინფრასტრუქტურა, თანამშრომლებს უტარდებათ ტრენინგი, თუ როგორ მოიქცნენ უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად და როგორ მოახდინონ სწრაფი რეაგირება სტიქიურ უბედურებებსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე.

კორუფციასთან ბრძოლა

კომპანიას აქვს ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის მიმართ და ჩვენთან დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. კომპანია მკაცრად აფასებს ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე.

რისკები და მათი მართვის მექანიზმი

რისკების იდენტიფიცირება და მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება კომპანიის საქმიანობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს.

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობის გამო, კომპანია შემდეგ რისკებს გასწევს:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ზარალის რისკს, თუ ფინანსური ინსტრუმენტის მომხმარებელი ან კონტრაპენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი უპირატესად წარმოიშვება კომპანიის მოთხოვნებიდან კლიენტების მიმართ.

სავაჭრო მოთხოვნები

კომპანიის საკრედიტო რისკზე ძირითადად მოქმედებს თითოეული კლიენტის ინდივიდუალური მახასიათებლები. ამასთან, ხელმძღვანელობა განიხილავს ფაქტორებს, რომლებმაც შესაძლოა იმოქმედონ კომპანიის კლიენტთა ბაზის საკრედიტო რისკზე, მათ შორის იმ ინდუსტრიისა და ქვეყნის დეფოლტის რისკზე, რომელშიც ფუნქციონირებენ კლიენტები, კერძოდ კი მიმდინარე პერიოდში ეკონომიკური პირობების გაუარესება. კომპანიის ამონაგების დაახლოებით 47% (2019 წელს: 38%) უკავშირდება ერთ კლიენტთან განხორციელებულ ოპერაციებს. ამასთან, გეოგრაფიულად, ადგილი არ აქვს საკრედიტო რისკის კონცენტრაციას.

კომპანია არ მოითხოვს უზრუნველყოფას სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში.

კომპანია ადგენს გაუფასურების რეზერვს, რაც წარმოადგენს სავაჭრო მოთხოვნებზე მოსალოდნელი ზარალის ვარაუდს.

სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებული მაქსიმალური საკრედიტო რისკი ანგარიშგების წარდგენის თარიღში გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით იყო შემდეგი:

'000 ლარი

ადგილობრივი
დსთ-ს ქვეყნები
ევრო ზონის ქვეყნები
სხვა რეგიონები

საბალანსო ღირებულება		
	2020	2019
	244	1,488
	1,822	1,123
	86	143
	58	126
	2,210	2,880

სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებული მაქსიმალური საკრედიტო რისკი ანგარიშგების წარდგენის თარიღში კონტრაქტების ტიპების მიხედვით იყო შემდეგი:

'000 ლარი

საბითუმო კლიენტები
საცალო კლიენტები

საბალანსო ღირებულება		
	2020	2019
	2,199	2,655
	11	225
	2,210	2,880

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

კომპანია ინდივიდუალური კლიენტების სავაჭრო მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის შეფასებისთვის იყენებს რეზერვის მატრიცას. ზარალის განაკვეთი გამოითვლება „ბრუნვის განაკვეთის“ მეთოდის გამოყენებით, რომელიც დაფუძნებულია მოთხოვნის ალბათობაზე მოახდინოს პროგრესირება თანმიმდევრულ ეტაპებში ვადაგადაცილებიდან ჩამოწერამდე.

მოცემული ცხრილი ასახავს ინფორმაციას საკრედიტო რისკზე დაქვემდებარებასა და მომხმარებლების მიმართ მოთხოვნების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

’000 ლარი	საშუალო	ბრუტო	ანარიცხი	ბრუტო	ანარიცხი
	შეწონილი	31 დეკემბერი	31 დეკემბერი	31 დეკემბერი	31 დეკემბერი
	ზარალის განაკვეთი	2020	2020	2019	2019
ხანდაზმულობა					
გაყიდვის					
თარიღიდან					
მიმდინარე	1%	2,191	(27)	2,281	(51)
1-30 დღე	4%	-	-	676	(26)
60-90 დღე	41%	22	(9)	-	-
91-120 დღე	52%	81	(48)	-	-
		2,294	(77)	2,957	(77)

ზემოთ მოცემულ ცხრილში ხანდაზმულობა გამოითვლებოდა გაყიდვის თარიღიდან.

ხელშეკრულებაში შეთანხმებული საშუალო გადახდის პერიოდი არის 90 დღე.

კომპანიას მიაჩნია, რომ არაგაუფასურებული ვადაგადაცილებული ოდენობები კიდევ ექვემდებარება შეგროვებას, წარსულ გადახდების გამოცდილებაზე და შესაბამისი კლიენტების საკრედიტო რეიტინგების ანალიზზე დაყრდნობით (ხელმისაწვდომობის შემთხვევაში).

მოდრაობა გაუფასურების რეზერვში სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში

მოდრაობა გაუფასურების რეზერვში სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

’000 ლარი

	ჯგუფური გაუფასურება	
	2020	2019
ნაშთი წლის დასაწყისში	(77)	(119)
აღიარებული გაუფასურების ზარალი	(18)	-
გაუფასურებული მოთხოვნების აღდგენა	9	24
ჩამოწერა	2	18
ნაშთი წლის ბოლოს	(84)	(77)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაუფასურება 84 ათასი ლარის ოდენობით (2019: 77 ათასი ლარი) უკავშირდება რამდენიმე კლიენტს რომელმაც მიუთითა, რომ ისინი სავარაუდოდ ვერ შეძლებენ მათი ნარჩენი ნაშთების დაფარვას, ძირითადად ეკონომიკური გარემოებების გამო.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2020 წლის 31 დეკემბერს კომპანია ფლობს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს 1,166 ათასი ლარის ოდენობით (2019 წელს: 1,850 ათასი ლარი), რომელიც წარმოადგენს მოცემულ აქტივებზე მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია ბანკებში, რომლებსაც ფიტჩის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ BB-რეიტინგი. ხელმძღვანელობა არ მოელოა, რომ კონტრაქტები ვერ დააკმაყოფილებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების გაუფასურება შეფასებულია 12-თვიანი მოსალოდნელი ზარალის საფუძველზე და ასახავს დაქვემდებარებების მოკლე ვადიანობას. კონტრაქტების გარე საკრედიტო რეიტინგებზე დაყრდნობით კომპანიას მიაჩნია, რომ მის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ „კომპანია“ ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრების ან ფინანსური აქტივების საშუალებით. კომპანია შეძლებისდაგვარად ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში არასაჭირო დანაკარგების ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად.

კომპანია მიზნად ისახავს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების დონე ფინანსურ ვალდებულებებზე თანმიმდევრული 60 დღის განმავლობაში მოსალოდნელი თანხების გასაღების ოდენობაზე მეტი ოდენობით შეინარჩუნოს.

ჩვეულებრივ, კომპანია უზრუნველყოფს, რომ მას ჰქონდეს სათანადო ოდენობით მოთხოვნამდე ფულადი სახსრები, 60 დღის განმავლობაში მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯების, მათ შორის ფინანსური ვალდებულებების მომსახურებების დასაკმაყოფილებლად; ეს გამორიცხავს ექსტრემალური ვითარებების პოტენციურ გავლენას, რომელთა გონივრულ ფარგლებში პროგნოზირება

შეუძლებელია, მაგალითად ბუნებრივი კატასტროფები და პანდემიები.

ლიკვიდურობის რისკზე დამოკიდებულება

ქვემოთ წარმოდგენილია ანგარიშების თარიღში ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი სახელშეკრულებო ვადიანობა. თანხები ბრუტო და არადისკონტირებული ფორმით არის წარმოდგენილი და ისინი მოიცავს სავარაუდო პროცენტის გადახდებს

31 დეკემბერი 2020

'000 ლარი	საბალანსო დირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები			
		სულ	6 თვეზე ნაკლები	1-დან 2 წლამდე	2-დან 5 წლამდე
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	49,376	74,413	2,983	2,867	68,563
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,173	3,173	3,173	-	-
	52,549	77,586	6,156	2,867	68,563

31 დეკემბერი 2019

'000 ლარი	საბალანსო დირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები			
		სულ	6 თვეზე ნაკლები	1-დან 2 წლამდე	2-დან 5 წლამდე
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	32,340	37,450	13,670	17,099	6,681
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,732	2,732	2,732	-	-
	35,072	40,182	16,402	17,099	6,681

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობამ გაანალიზა ზოგადი ფინანსური შედეგები, წმინდა ფინანსური მდგომარეობა და ფულადი ნაკადები კომპანიის საოპერაციო საქმიანობიდან, კერძოდ, 10,499 ათასი ლარის ოდენობით წმინდა მიმდინარე აქტივების მდგომარეობა; დაფარვის ვადასთან მიახლოებული ვადიანი სესხები, დაფარვის რეალური პერსპექტივის გარეშე, მოსალოდნელი უარყოფითი ფულადი ნაკადები და ადგილობრივი გაყიდვების არსებითი შემცირება შემდეგი 12 თვის განმავლობაში, COVID-19-ის გავლენის შედეგად.

თუმცა, ქვემოთ ჩამოთვლილი შემამსუბუქებელი ზომების გათვალისწინებით, ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ კომპანიას ექნება საკმარისი ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დაფარვის ვადაში დასაკმაყოფილებლად და რომ ხელმძღვანელობის უწყვეტი ფუნქციონირების დაშვება იყო შესაფერისი ანგარიშების თარიღისათვის.

ხელმძღვანელობის ზემოაღნიშნული დაშვება შემდეგ შემამსუბუქებელ ფაქტებსა და დაშვებებზე არის დაფუძნებული:

- 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, კომპანიის მიმდინარე და გრძელვადიანი ვალდებულებები ძირითადად აქციონერისგან მიღებული, 59,733 ათასი ლარის ოდენობით (დისკონტირების გარეშე) სესხებისა და კრედიტებისგან შედგება. საბოლოო მაკონტროლებელმა მხარემ („Paulsen Familiae Foundation“) დაადასტურა მისი განზრახვა არ მოითხოვოს კომპანიის ვალდებულებების დაფარვა სახელშეკრულებო დაფარვის ვადამდე ადრე - 2025 წლის 31 დეკემბერი და საჭიროების შემთხვევაში, გადაავადოს სესხებისა და კრედიტების დაფარვა, რათა დაეხმაროს კომპანიას არსებული ფინანსური სირთულეების დამძლევაში.
- საბოლოო მაკონტროლებელმა მხარემ გამოხატა განზრახვა, რომ საჭიროების შემთხვევაში, ახლო მომავალში კომპანია უზრუნველყოს დამატებითი ფინანსური და სხვა სახის მხარდაჭერით, კომპანიისთვის მისი საოპერაციო არსებობის გაგრძელების საშუალების მიცემის მიზნით.

ზემოთ აღწერილის შესაბამისად, ხელმძღვანელობას აქვს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ კომპანიას აქვს შესაბამისი რესურსები ახლო მომავალში მისი საოპერაციო საქმიანობის გასაგრძელებლად, და შესაბამისად, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის საფუძველზე.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლით კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციასთან ერთად.

კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს კისრულობს ბაზრის რისკების მართვის მიზნით. კომპანია არ იყენებს ჰეჯირების ანგარიშგებას მოგებაში ან ზარალში ცვალებადობის მართვის მიზნით.

სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს, რადგან არსებობს შეუსაბამობა გაყიდვების, შესყიდვებისა და კრედიტების ვალუტებსა და კომპანიის სამუშაო ვალუტას შორის. ვალუტა, რომელშიც უმეტესად არის დენომინირებული ოპერაციები ევრო და აშშ დოლარია.

კრედიტები და მათზე დარიცხული პროცენტი ლარშია წარმოდგენილი, რაც შეესაბამება კომპანიის შესაბამისი ოპერაციების მიერ ძირითადად ლარში წარმოქმნილ ფულად ნაკადებს. ეს წარმოქმნის ეკონომიკურ ჰეჯირებას და არ ფორმდება წარმოებული ინსტრუმენტები.

სავალუტო რისკზე დამოკიდებულება

კომპანიის დაქვემდებარება სავალუტო რისკზე იყო შემდეგი:

'000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული	ევროში დენომინირებული	აშშ დოლარში დენომინირებული	ევროში დენომინირებული
	2020	2020	2019	2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	325	1,907	133	1,259
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	112	817	232	1,459
სავაჭრო ვალდებულებები	(74)	(339)	(26)	(78)
სესხები დაკავშირებული მხარეებისგან	-	(18,070)	-	(11,128)
წმინდა დაქვემდებარება	363	(15,685)	339	(8,488)

წლის განმავლობაში დაფიქსირდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	საშუალო კურსი		ანგარიშგების წარდგენის თარიღით არსებული კურსი	
	2020	2019	2020	2019
1 აშშ დოლარი	3.1097	2.8192	3.2766	2.8677
1 ევრო	3.5519	3.1553	4.0233	3.2095

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის კურსის გონივრული შესაძლო (გამყარება)/შესუსტება, ქვემოთ მითითებულის შესაბამისად, ყველა სხვა ვალუტასთან მიმართებაში 31 დეკემბრის მდგომარეობით იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და ასევე იმოქმედებდა მოგებაზე ან ზარალზე ქვემოთ ნაჩვენები ოდენობით. ანალიზის მიზნებისთვის მიჩნეულია, რომ ყველა სხვა ცვლადი მაჩვენებელი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება და ის არ ითვალისწინებს გაყიდვებისა და შესყიდვების პროგნოზის ნებისმიერი სახის გავლენას.

'000 ლარი

	მოგება ან ზარალი	
	ლარის გამყარება	ლარის შესუსტება
31 დეკემბერი 2020		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(36)	36
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	1,568	(1,568)
31 დეკემბერი 2019		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	(34)	34
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	849	(849)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, უპირველეს ყოვლისა, გავლენას ახდენს სესხებსა და კრედიტებზე, რადგან ეს ცვლის სესხის სამართლიან ღირებულებას (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მის მომავალ ფულად ნაკადებს (სესხი ცვალეზადი განაკვეთით). ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის განსაზღვრად, თუ რამდენად ექვემდებარება კომპანია ფიქსირებულ ან ცვლად განაკვეთებს. თუმცა, ახალი სესხების ან კრედიტების აღებისას, ხელმძღვანელობა საკუთარ მსჯელობას იყენებს იმის გადასაწყვეტად, რომელი ცვლადი უფრო ხელსაყრელი იქნება კომპანიისთვის მოსალოდნელ პერიოდში, დაფარვის ვადის დადგომამდე - ფიქსირებულგანაკვეთიანი, თუ ცვლადგანაკვეთიანი.

საპროცენტო განაკვეთის რისკზე დამოკიდებულება

ანგარიშგების თარიღში კომპანიის პროცენტის ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის პროფილი იყო შემდეგი:

'000 ლარი

	საბალანსო ღირებულება	
	2020	2019
ფიქსირებულ განაკვეთიანი ინსტრუმენტები		
ფინანსური ვალდებულებები	(49,376)	(32,340)
	(49,376)	(32,340)

COVID-19-ის პანდემია

COVID-19-ის პანდემიის აფეთქებამ 2020 წლის დასაწყისში და მისმა სწრაფმა გავრცელებამ მსოფლიოს გარშემო, იქონია არსებითი გავლენა და ცვლილებები შეიტანა ბიზნეს გარემოში მსოფლიოს გარშემო ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც.

პანდემიის უარყოფითი შედეგები გავრცელდა 2021 წელზეც და ინფექციის გავრცელების საწინააღმდეგო შეზღუდვების დიდი ნაწილი კვლავაც ძალაშია 2021 მაისის მდგომარეობით. ქვეყანაში მოქმედებს კომენდანტის საათი 21 საათიდან დილის 5 საათამდე, შაბათ-კვირას დაკეტილია რესტორნები და კაფეები და აკრძალულია მასშტაბური სოციალური ღონისძიებები. სახელმწიფო საზღვარი მხოლოდ ნაწილობრივ არის გახსნილი და შემოსული უცხოელი ტურისტების რიცხვი კვლავ

ძალიან დაბალია. ეს ფაქტორები ძალიან უარყოფითად მოქმედებენ ზოგადად საქართველოს ეკონომიკაზე, ღვინის გაყიდვებზე, ტურიზმისა და სარესტორნო ბიზნესზე.

2021 წელს, პირველი ოთხი თვის განმავლობაში კომპანიის შემოსავალი ღვინის და ალკოჰოლური სასმელების რეალიზაციიდან 54%-ით არის შემცირებული 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. 2021 წლის მარტიდან დაიწყო მოსახლეობის ვაქცინაცია, თუმცა ამ ეტაპზე მხოლოდ 77 ათასი ადამიანი არის აცრილი. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე არ არის მოსალოდნელი ეკონომიკური სიტუაციის მოკლე ვადაში გაუმჯობესება. კომპანიის ხელმძღვანელობა აგრძელებს სიტუაციის მონიტორინგს და მსგავსი მოვლენების და გარემოებების გავლენის (მათი მოხდენისთანავე) შესამსუბუქებლად მიიღებს საპასუხო ზომებს.

სს შატო მუხრანის 2020 წლის მმართველობითი ანგარიში დამტკიცდა და გამოიცა 2021 წლის 4 ივნისს:

სახელი: გრიგოლ წიქარიშვილი

პოზიცია: ფინანსური დირექტორი

სახელი: პატრიკ ჰონეფი

პოზიცია: აღმასრულებელი დირექტორი

ძალიან დაბალია. ეს ფაქტორები ძალიან უარყოფითად მოქმედებენ ზოგადად საქართველოს ეკონომიკაზე, ღვინის გაყიდვებზე, ტურიზმისა და სარესტორნო ბიზნესზე.

2021 წელს, პირველი ოთხი თვის განმავლობაში კომპანიის შემოსავალი ღვინის და ალკოჰოლური სასმელების რეალიზაციიდან 54%-ით არის შემცირებული 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. 2021 წლის მარტიდან დაიწყო მოსახლეობის ვაქცინაცია, თუმცა ამ ეტაპზე მხოლოდ 77 ათასი ადამიანი არის აცრილი. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე არ არის მოსალოდნელი ეკონომიკური სიტუაციის მოკლე ვადაში გაუმჯობესება. კომპანიის ხელმძღვანელობა აგრძელებს სიტუაციის მონიტორინგს და მსგავსი მოვლენების და გარემოებების გავლენის (მათი მოხდენისთანავე) შესამსუბუქებლად მიიღებს საპასუხო ზომებს.

სს შატო მუხრანის 2020 წლის მმართველობითი ანგარიში დამტკიცდა და გამოიცა 2021 წლის 4 ივნისს:

სახელი: გრიგოლ წიქარიშვილი

პოზიცია: ფინანსური დირექტორი

სახელი: პატრიკ ჰონეფი

პოზიცია: აღმასრულებელი დირექტორი

